№ 174

სამშაბათი 27 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 174

სამშაბათი, 27 სექტემბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
დღეს, სამშაბათს, 27 სექტემბერს, ანჯელო ჰამპას მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება
აიდა
ოპერა 4 მოქმ. და 7 სურათად მუსიკა ვერდისა,
თარგმ. გრ. ოდიშერისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დუბროვსკაია, კარრი; ბ-ნები: ჰამპა, სოლსკი, დრაკული, ტომაშევიჩი, ვოლსკი.
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
კაპელმეისტერი ლ. პ. შტეინბერგი.
ანონსი: ხვალ, ოთხშაბათს, 28 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება „ევგენი ონეგინი“, ოპერა 3 მოქმ. და 7 სურათად, მუსიკა ჩაიკოვსკისა.
ბილეთები იყიდება.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხელ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 სათ., საღამოთი 6—7 სათ. იორდანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ქ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ჟ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
. ქი. ზქილიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. ჰ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

საღამოობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**
Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. Тел.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.
ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სა[illegible]

ესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყო-ის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, რერის სახლის № 157

აშაძე ხვირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი ლი.

დისამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და რონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის ახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და აღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

გასაგები გულისწყრომა

ჩვენ დღესაც ვბეჭდავთ სრულად გაზ. „არშალუისიდან“ ამოღებულ წერილს, რომელიც „მოგზაურის“ საპასუხოდაა დაწერილი. თუმცა იგი თავის შინაარსით წყალ-წყალა ფრაზეოლოგიას წარმოადგენს და მისი ავტორი არა თუ „შორეულ“—ბაქო-შუშა-ერევნის—ამბებს ვერ განმარტავს, არამედ ადგილით უფრო ახლობელ ქართულ გაზეთების მიმართულებასაც არ იცნობს, მათ შესახებ ყოვლად შეუწყნარებელ უვიცობას იჩენს და, მაშასადამე, ამ მხრით იგი ყურადღების ღირსიც არ არის; მაგრამ, მეორე მხრით, ხსენებულ წერილს აქვს ერთი მთავარი ხასიათი, რომელიც სტრიქონებსა და სტრიქონებს შუა გამოკრთის და, ჩვენის აზრით, ჩვენი მკითხველებისთვის გასაცნობად საინტერესო არის. ჩვენც მხოლოდ წერილის ამ თავისებურ ხასიათს მივაქცევთ ყურადღებას, ვინაიდან ის „ხასიათი“ საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს იმ გუნებასა და შინაგან სულიერ განწყობილებას, რომელსაც იწვევს ქართველ „დასელთა“ იდეოლოგია სომხის ბურჟუაზიასა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციაში.

გაზ. „არშალუისს“ ძალიან დასწყვია გული „მოგზაურზე“, საშინლად აღელვებულა და ამ აღელვების დროს, ისეთ რამეს ამჟღავნებს, რასაც სხვა დროს და სხვა გარემოებაში, იქნება, არც კი გამოამჟღავნებდა. ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესოა მიზეზი „არშალუისის“ განსაკუთრებულ გულნატკენობისა „მოგზაურის“ შენიშვნით და ის მოტივი, რომლის გამო ჩვენი მეზობელი ბურჟუაზია, თავის პრესაში მაინც, მხიარულად და ქვეშ-ქვეშა მომღიმარედ უხვდება ჩვენებურ „დასიზმის“ ერთად-ერთ სარწმუნოებრივ სიმბოლოს,—კლასობრივ ბრძოლის თეორიას.

მოგეხსენებათ, ქართული „დასიზმი“ უარჰყოფს ყველაფერს, გარდა კლასობრივ განხეთქილებისა და ბრძოლისა. მისთვის ერი და საერთო ეროვნული ინტერესები ფიქციაა, ბურჟუაზიისაგან მოჭორებული ამბავია. არსებობს მხოლოდ ბრძოლა კლასობრივი, ვინაიდან არსებობს მისი შემქმნელი კლასობრივი ინტერესები; ხოლო რახან ცხოვრებაში საერთო ეროვნულ ინტერესებისათვის ადგილი არაა, რახან თვით ერი ფიქციაა და არა სინამდვილე, რახან ის კრებული, რომელსაც ერს ეძახიან, მოწინააღმდეგე კლასებად არის დაყოფილი და ამ კლასებს შორის არსად და არაფერში საერთო არა არის-რა, ამიტომ ის განხეთქილება, რომელიც სხვადასხვა ხალხებს შორის წარმოსდგება ხოლმე, მხოლოდ კლასობრივის ხასიათისაა და არა ეროვნულისა. ერთი ხალხის ბურჟუაზია ებრძვის მეორე ხალხის ბურჟუაზიას და ამ კლასობრივ ინტერესებისათვის ბრძოლას ეროვნულ ბრძოლას ეძახიან,—„მშრომელ ხალხის მოსატყუებლად“.

ასე მსჯელობს ქართული „დასიზმი“. ამიტომ მას გამოდევნილი აქვს ხმარებიდან სიტყვები: „ერი“, „სამშობლო“, „ენა“, „ეროვნული კულტურა“,—ერთის სიტყვით ყველაფერი, რაც, კლასობრივ ბრძოლასთან ერთად, ერის გაერთიანებისა და ეროვნულ თვითცნობიერების მაჩვენებელია. „დასიზმმა“ არ იცის სხვა ინტერესები, გარდა კლასობრივისა, მას, ვითარცა პროლეტარიატის იდეოლოგიას, არ აქვს სამშობლო, ვინაიდან სამშობლო ბურჟუაზიას აქვს დაპყრობილი და პროლეტარი უმამულო ბოგანოდ არის დატოვებული. ამიტომ მისთვის, მაგალითად, სულ ერთია, თუ ვინ დასახლდება ეროვნულ ტერიტორიაზე. მიწა ჩვენში ბევრიაო,—ამბობენ და სწერენ ამ მიმართულების კაცები,—მაგრამ ამა ქვეყნის ძლიერთ აქვთ ხელში ჩაგდებულიო; საჭიროა, მიწა დაურიგდეს ყველას, ვინც და საიდან მოსულნიც უნდა იყვნენ მსურველებიო.

„დასიზმს“ ყურადღების ღირსად არ მიაჩნია შემდეგი საკითხიც: ეკონომიურ ცხოვრების წარმატება თავის ერში. მისთვის სულ ერთია, რომელ ერში განვითარდება მოქალაქობრივ ცხოვრების ეკონომიური პირობები; სულ ერთია ეს, რადგან პროლეტარი ყოველ შემთხვევაში პროლეტარად დარჩება. როგორც უცხო ბურჟუაზიასთან, ისე „ეროვნულთანაც“. „დასიზმის“ აზრით პროლეტარს არაფერი არ აკავშირებს ინტერესებით სხვა კლასებთან და ამიტომ მისი ბრძოლა უცხო ერის ბურჟუაზიასთანაც არის მხოლოდ ბრძოლა კლასობრივი. ამგვარ კლასობრივ ბრძოლით პროლეტარიატი ააყვავებს ერს, როცა იგი საბოლოო მიზანს მიაღწევს. თუ დღეს ჩვენ ეკონომიურად ჩამორჩენილნი ვართ, თუ ჩვენს ცხოვრებაში ქართველი პროლეტარიატი ჩნდება და ამავე დროს ქართველებში ვაჭრობა-მრეწველობა და საერთო ეკონომიური პროგრესი კუს ნაბიჯით მიდის,—ეს, „დასიზმის“ აზრით, არ უნდა გვაფიქრებდეს, რადგან „მაშინ“, იმ მერმისში, როცა მშრომელი ხალხი გაიმარჯვებს, ეკონომიური თანასწორობა დამყარდება, ბურჟუაზიის პატრონობით მონაგარი კულტურა ისევ ხალხსავე დარჩება, მიუხედავად იმისა, ეს ბურჟუაზია შინაურია თუ გარეული...

დიდი გამჭრიახობა და თავის მტვრევა არაა საჭირო იმის გამოსაცნობად, თუ როგორ უნდა შეხვდეს მეზობელ ნაციონალისტურმა ბურჟუაზიამ ასეთ იდეოლოგიას. სრულიად ბუნებრივია იმ ბურჟუაზიის ამგვარი ფიქრი ამ შემთხვევაში: რა ვუყოთ,—მერმისში რაც მოგვივა, საერთო მოსავალი იქნება და სხვების ბედს ჩვენც განვიცდით, ხოლო მანამდის გაფართოებას ნუ დაგვიშლით, ეროვნულად ნუ უარგვყოფთ, ტერიტორია თუ შევიმციროთ, წინ ნუ აღგვიდგებით ეროვნულად,—მხოლოდ კლასობრივად გვებრძოლეთ... ამავე დროს ამ ბურჟუაზიის მომხრე ინტელიგენცია ნიკაპ-ქვეშ იღიმება და ფარისევლურად იწონებს ქართულ ტაქტიკას: განაგრძეთ ასეო, ხოლო თავისიანებს ეუბნება: აწმყოში შენაძენი ბურჟუაზიის უარმყოფელ „მერმისშიაც“ გამოგვადგება ეროვნულადო...

ამგვარ მოსაზრების გამო სომხის ბურჟუაზიული ჟურნალისტები დღემდის კარგ განწყობილებაში იყვნენ ქართულ „დასიზმის“—ორგანო „მოგზაურთან“. მაგრამ დღეს მათ შორის პატარა შავმა კატამ გაიარა და „არშალუისიც“ ამან აალელვა. „მოგზაურის“ 33 ნომერში სომხებისა და თათრების ურთიერთობის შესახებ წერილი იყო დაბეჭდილი, რომელშიაც ავტორს, ცნობილ ბ-ნ მახარაძეს, კლასობრივ ნიადაგზე ცოტათი ფეხი გაუსხლტა და ასეთი სტრიქონები დაეწერა: „სომხებსა და თათრებს შორის დიდი ხნიდან ღვივოდა ფანატიკური სიძულვილი და მტრობა... უკვე რამდენიმე საუკუნე იქნება, რაც ისინი ერთმანეთის მეზობლებად ითვლებიან. დღემდის ჩვენ გვეგონა, რომ ჩვეულებრივი მეზობლური ურთიერთობა არსებობდა, თუ ძმობა და მეგობრობა არა. მაგრამ ჩვენ სასტიკად მოტყუებული დავრჩით. ამ ორ ერს შორის არსებული განხეთქილება და სიძულვილი უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, ყოვლად სამარცხვინო ომად, საშინელ სისხლის ღვრად გადაიქცა. სომხებს განათლებულ ხალხად მიაჩნდათ თავი, ისინი მუდამ ჟამ თავის მაღალ კულტურულ და განმანათლებელ ღვაწლმოსილობაზე გაიძახიან. ახლა ერთი ვიკითხოთ, რა გამოიყენეს იმათ ამ სამარცხვინო შეტაკების დროს, ან რა ღვაწლი მიუძღვით იმათ წარსულში? აწმყო ხომ წარსულის შედეგია... სომხებმა ვერ დაიმსახურეს ვერც ნდობა და ვერც პატივისცემა თავის მეზობელ ხალხის თვალში. რამდენადაც ჩვენ ვუკვირდებით სომხის ხალხს, იმდენად უფრო აშკარად ვამჩნევთ მას უკიდურეს ნაციონალისტურ მიდრეკილებას, კლერიკალურ იდეებით შეპყრობილს“...

როგორც ხედავთ, წერილის ავტორი აქ ლაპარაკობს სომხის ხალხზე და არა ბურჟუაზიაზე. ჩვენის აზრითაც აქ შეცდომაა, ვინაიდან ბურჟუაზიის მაგივრად, რომელსაც მიუძღვის მთავარი ბრალი ეროვნულ ბრძოლის გაჩაღებაში, ხალხია ნახსენები. „მოგზაურის“ უკანასკნელ ნომერში უცდომელ ბ-ნ მახარაძეს თავისი სიტყვა უკან მიაქვს და ამბობს,—მე მხოლოდ ბურჟუაზია მყავდა მხედველობაშიო.

წარმოვიდგინოთ, რომ ეს ასეა. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ წერილის ავტორი სომხის ბურჟუაზიას ჰგმობს მის ბურჟუაზიულ ნაციონალისტობისათვის. და, ეს რასაკვირველია, გულში მოხვდა „არშალუისს“. ის და მისი მეგობრები გულგრილად აიტანენ სომხის ბურჟუაზიასთან კლასობრივ ბრძოლას, მაგრამ თუ ამ ბურჟუაზიას ნაციონალისტობაში ხელი შეუშალეს, თუ ამხილეს, რომ შენ შენი ნაციონალიზმის აგებას სხვის ნანგრევებზე აპირობო, მაშინვე მოთმინებას დაჰკარგავენ და გოდებას მოჰყვებიან... „არშალუისი“ ბრძნულად გვირჩევს ყველას,—უნდა გიხაროდეთ, თუ სომხის ბურჟუაზია ქონების კონცენტრაციას ახდენსო. რა გიშავთ, თუ გაპროლეტარდებით,—„მერმისში“ ხომ გასწორდება უსამართლობა და თქვენც მქონებელნი შეიქნებითო; ებრძოლეთ სომხის ბურჟუაზიას კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და ყურადღებას ნუ მიაქცევთ მის ნაციონალისტურ მისწრაფებასო...

ამგვარ რჩევაში სავსებით გამომჟღავნდა სომეხთა ბურჟუაზიულ ინტელიგენტების სურვილი და ფარული განზრახვა. ოღონდ მათ ეროვნულ გაფართოებაში ხელს ნუ შეუშლით, მათ ეროვნული ცხოვრება აწმყოთი გააბარაქიანებინეთ და—ისინი მზად არიან, არ იხამუშონ კლასობრივი ბრძოლა და სამართლიანად ჩასთვალონ გაღატაკებულ ერის პროლეტარული მოთხოვნილება...

პასუხი დეკ. ლამბაშიძეს

ერთი ქართული ანდაზაა: თუ პილპილი არ გეჭამია, პირი რად გეწვისო. ეს ანდაზა გამახსენდა, როცა დეკ. ლამბაშიძის წერილსა ვკითხულობდი „მწყემსში“. მ. დეკანოზს არა თუ პირი, გულიც ძალიან დასწვია... ავტორი ლობყორეს მოსდებია, მოუხსნია თავი ჭორებისა და ლანძღვაგინების დიდის გუდისათვის რომელიც დეკანოზს გვარიანად გატენილი ჰქონია, და დინჯი პასუხის მაგიერ ამით უმასპინძლდება თავის მკითხველებს.

ასეა თუ ისე, ამგვარ წერილს მე, დიდი ხანია, მოველოდი. ბ-მა ი. ნაკაშიძემ ჩემი წერილის წყალობით მე თითქმის კლერიკალობა დამწამა, სამღვდელოება გაჩუმებულიყო და ცოტა შეფიქრიანებული ჩემს თავს ვეკითხებოდი: იქნება ის ვერა ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა, და ჩემი გულის ნადები მკითხველს ცუდად გარდავეცი მეთქი. დეკ. ლამბაშიძემ კი დამარწმუნა, რომ მე სწორედ ისა ვთქვი, რისი თქმაც მინდოდა, და ვთქვი ისე, როგორც უნდა მეთქვა, თორემ დეკანოზს პირი არ დაეწოდა ასე საშინლად. ამიტომ ვარწმუნებ მ. დეკანოზს, რომ მის წერილში კიდევ მეტი ლანძღვა რომ ყოფილიყო, მე კიდევ უფრო მიამებოდა, რადგანაც ეს ლანძღვა საუკეთესო საბუთია ჩემი წერილის ღირსებისა.

მ. ლამბაშიძე თავის პასუხს ასე იწყებს: ბ-ნ გომართელის წერილს არავითარ ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ ეს ექიმი ხალხს სასწაულმომქმედად არ მიაჩნდეს და არ ადიდებდესო. აქედან თავის-თავად ცხადია, თუ რამ აალებია კალამი ხელში მ. დეკანოზს: მას ეშინია, ხალხმა გომართელს არ დაუჯეროსო. ვაუწყებ მ. დეკანოზს, რომ მისი შიში სრულებით უსაფუძვლოა: ხალხმა კი არ დაუჯერა გომართელს, თვითონ გომართელმა დაუჯერა ხალხს,—გომართელმა მხოლოდ ის თქვა თავის წერილში, რასაც, დიდი ხანია, ამბობს ჩვენში ხალხი. მ. ლამბაშიძეს უკვირს, რომ ხალხში ბევრი ცრუაზრი არსებობს ხშირად ამა თუ იმ პირთა შესახებ. გასაკვირალი კი არა, ეს სამწუხარო მოვლენაა. ამ გვარი მაგალითები ცხადად ამტკიცებენ, თუ რამდენად ღატაკია ხალხი გონებით, რამდენად ცრუ მორწმუნეა ის. მერე ვინ დააბნელა ხალხის გონება? ყოველ დროის მთავრობისა და სამღვდელოების უმთავრესი ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ ხალხისათვის გონების კარი დაეხშოთ და დღეს კი მ. დეკანოზს უკვირს: რად არის ხალხი ცრუმორწმუნეო. დღეს თვითონ ხალხმა შეიგნო ეს და ამიტომ გადუდგა სამღვდელოებას.

მე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ იესო ქრისტეს მიზანი იყო, ქვეყნად დაემყარებინა სამოთხე,—რასაკვირველია, ისეთი სამოთხე კი არა, როგორც მ. დეკანოზსა აქვს წარმოდგენილი, არამედ სხვაგვარი. თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქვეყნად ქრისტეს სამოთხე, ამის გამოსარკვევად საჭიროა ისტორიას მივმართოთ. რას წარმოადგენდა რომის საზოგადოება იმ დროს, როცა იესო ქრისტე დაიბადა? ერთ მხარეზე იდგნენ მდიდრები, რომლებიც ურიცხვი მონების წყალობით მეფურად ცხოვრობდნენ, გლეხკაცობა სრულებით გაღატაკებული იყო. აუარებელმა ომიანობამ ხალხი ეკონომიურად სრულებით დასცა, სამაგიეროდ მონათა რიცხვი გამრავლდა. მონა კიტრის ფასად გახდა. მონის ამგვარმა გამრავლებამ და სიიაფემ სოფლის გლეხის შრომასა და მეურნეობას სრულებით გამოაცალა ნიადაგი და სოფლად გლეხობა მოსპობის გზას დაადგა. გაღატაკებული გლეხობა მიაწყდა ქალაქებს და რომის ქალები აივსო ურიცხვი ბოგანო პროლეტარიატით. ამგვარად ურიცხვი ხალხი სიმშილით იხოცებოდა პატარა ჯგუფი პატრიციებისა ფუფუნებაში ატარებდა თავის ცხოვრებას. აი, ამგვარ საზოგადოებრივ ატმოსფერაში დაიბადა იესო ქრისტე. უმთავრესი პრობლემა იესო ქრისტეს დროს იყო სიღატაკის პრობლემა. ვერც ერთი გონიერი და ხალხის გულ-შემატკივარი ადამიანი, ვერც ერთი მოღვაწე და მქადაგებელი ამ პრობლემას გზას ვერ აუხვევდა ამ პრობლემის გადაწყვეტამ იმსხვერპლა წინად გრაკხები, ამ პრობლემას მიაქცია უმთავრესი ყურადღება ქრისტემაც. ქრისტეს უნდოდა სიღატაკის მოსპობა, ქრისტეს უნოდა უთანასწორობის მოსპობა, ქრისტეს უნდოდა საზოგადოების კლასებად დაყოფის გაუქმება და, რადგანაც ყოველისავე ამას საჩრულად ედვა კერძო საკუთრება მოსახმარ ნივთებზე მოსახმარ საშუალებათა უთანასწოროდ განაწილება, ამიტომ იესო ქრისტემ მოითხოვა მოსახმარ საშუალებათა გასაზოგადოება—კომმუნიზმი. მოსახმარ საშუალებებზე. აი ამას ვუწოდებ მე იმ სამოთხეს, რომლის დაარსებაც ქრისტეს უნდოდა ქვეყნად. ამგვარი კომმუნიზმის განსახორციელებლად ვისთვის უნდა მიემართა იესო ქრისტეს? პირველად პროლეტარიატისთვის. პროლეტარიატს არაფერი არ გააჩნდა და ამიტომ—იგი სულითა და გულით უნდა მიჰგებებოდა და მიეგებ კიდეც კომმუნიზმის ქადაგებას.

ბოგანო პროლეტარიატი სრულებით მოკლებული იყო პოლიტიკურ ძალას და ქრისტე კარგათ ხედავდა, რომ ამგვარი ღატაკები თავისი ბრძოლით ვერავითარ კომმუნიზმს ვერ დაამყარებენ. ამიტომ მას უნდა მიემხრონ მდიდრებიც. ცხადია, ქრისტეს რომ პირდაპირ ეთქვა მდიდრებისათვის, თქვენი ქონება ღატაკებს გაუნაწილეთო, მდიდრები ეტყოდნენ, რაო ჩემო, რის გულისთვისო. მაგრამ ქრისტემ თავისი მსმენელების ყურადღება მიაქცია საიქიო სამოთხეს. მას უნდოდა საიქიოს სამოთხის სურათით მდიდრები მოეხიბლა და გაეკომმუნისტებინა. ამიტომ ქადაგებდა ქრისტე, მდიდარი სამოთხეში ვერ შევაო; ამიტომ ურჩევდა ის მდიდარს: თუ გინდა, რომ სრული იყო, გაყიდე შენი საცხოვრებელი და ღარიბებს დაურიგეო. რადგანაც მოსახმარ ნივთიერებათა გასაზოგადოება აუცილებლად მოითხოვდა ოჯახისა და ცოლქმრობის უარყოფას, ამიტომ ქრისტე ქადაგებდა: დაუტევეთ ოჯახი, ცოლი და დედმამაო.

ვიმეორებ, თუ ხალხი მიემხრო ქრისტეს კომმუნიზმს, იმიტომ რომ მაშინდელი ბოგანო პროლეტარიატისთვის ამგვარ კომმუნიზმს ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა: ქრისტეს ქადაგებაში ხალხი გაიტაცა ამ ქვეყნიურმა სარგებლობამ და არა საიქიო სამოთხემ. ამას გვასწავლის ისტორიის მეცნიერება; ხუცესური მეცნიერება კი, რა თქმა უნდა, სრულებით სხვას ამბობს. ქრისტეს რომ მართლა ამ ქვეყნიური ცხოვრების ძირიანად შეცვლა არ მოეწადინებინა პროლეტარიატის სასარგებლოდ, მდიდარნი ამ ქვეყნისანი და მთავრობა არც ამხედრდებოდნენ მის წინააღმდეგ და არც აცვამდნენ მას ჯვარს. ქრისტეს რომ მართლა ისე ექადაგნა ხალხისათვის, როგორც შემდეგ დაამახინჯეს მისი მოძღვრება, ამ ქვეყანაზე ყოველისფერი მოითმინეთ, ყოველიფერი აიტანეთ, ყველას მორჩილნი იყავით და სამაგიეროდ საიქიოს ცხონდებითო, მთავრობა და მდიდრები არა თუ მას ხელს არ ახლებდნენ, დიდის სიამოვნებით მიეგებებოდნენ და ხელსაც კი შეუწყობდნენ ყველგან ამგვარ ქადაგებისათვის. დღეს კი სამღვდელოება, რომელიც ღატაკ ხალხისათვის წამებულს ჯვარცმას გულზე ატარებს, ღატაკი ხალხის მწამებელთ ამოდგომია გვერდით... ეს არის ქრისტეს მოძღვრების ასრულება?

ქრისტეს მოციქულებმა და წმინდა მამებმაც სწორეთ ისე გაიგეს მასწავლებლის მოძღვრება, როგორც მე აღვნიშნე, და არა ისე, როგორც მ. ლამბაშიძემ და სამღვდელოებამ გაიგო. აიღეთ აპოკალიპსისი, რომელშიაც ის აზრია გატარებული, რომ სულ მალე მოვა ქრისტე და ნერონიანტიქრისტეო. ქრისტე დაამარცხებს მას და ქვეყნად უკვდავებასა და ახალ იერუსალიმს დაამყარებსო.

მოციქულებმა დაამყარეს კომმუნისტური საზოგადოება იერუსალიმში: ამ საზოგადოებაში არ იყვნენ არც მდიდარი, არც ღარიბი და ყველას საერთო ჰქონდა ყოველისფერი; ყოველი წევრი ჰყიდდა თავის საკუთრებასა და აღებული ფული საზოგადოების საკუთრებად შემოჰქონდა. წმინდა მამები ვასილი, გრიგორი და ოქროპირი იოანე ქადაგებდნენ ამგვარ კომმუნიზმს და ებრძოდნენ სიმდიდრესა და უთანასწორობას.

ამგვარად ქრისტეს მოძღვრება არის ამ ქვეყნიური ცხოვრების ძირითადი გარდაქმნა. ქრისტე იყო მტერი კლასთა დაყოფისა, ქრისტე იყო მტერი უთანასწორობისა, ქრისტე იყო მებრძოლი ბოგანო პროლეტარიატის ინტერესებისათვის. დღევანდელი სამღვდელოება ადგია თუ არა ამგზას? არა, და არა!

მ. ლამბაშიძე მთხოვს ყოველივე ეს განვუმარტე, თორემ სამედიატორო სასამართლოში გაგიწვევთო. რადგანაც ყველა ამ კითხვებზე თავისუფლად წერა შეუძლებელია, ამიტომ მე სიამოვნებით ვთანხმდები სამედიატორო სასამართლოზე. ჩემის მხრით, ვასახელებ ბ.ბ. ლადო მესხიშვილს, სერგო რობაქიძეს, იასონ ნიკოლაიშვილს და სიმონ ქვარიანს. ამ პირებში, რამდენიც და ვინც ნებავს, ჩემის მხრით ისინი დაასახელოს მ. ლამბაშიძემ და თავის მხრით იმდენივე აარჩიოს თვითონ, ვინც უნდა, მე წინდაწინვე თანახმა ვარ. ხოლო მისი მხრით მე არ ვღებულობ არც ერთ სასულიერო პირს, ან სასულიერო დაწესებულებაში მოსამსახურეს, როგორც დაინტერესებულ მხარეს. მედიატორებმა უნდა განიხილონ ყველა ის მუხლები, რომლებშიაც მე ვამტყუნებ სამღვდელოებას.

როცა მ. ლამბაშიძემ გაიგო, რომ მე საიქიო არა მრწამს, თავმომწონედ მიპასუხა: სთქვა უგუნურმა გულსა თვისსა არა არს ღმერთიო. ალბად ეს მას დიდ საბუთად მიაჩნია. მე კი ვაუწყებ მ. დეკანოზს, რომ ეს საბუთი კი არ არის, გულის მოფხანაა, როგორც ყოველივე გინება, და შეიძლება ეს სიტყვები მის წინააღმდეგაც გადავაბრუნოთ... მე არა მწამს, მერე თქვენ რა კუჭი გეწვით? ვისაც სწამს, დეე სწამდეს. ხოლო როდესაც მ. დეკანოზი ამტკიცებს, გომართელი ასე ლაპარაკობს, თორემ საქმით კი ყველაფერი სწამსო, და ამის საბუთად ჩემი ბავშვის დამარხვას ასახელებს ეკლესიის გალავანში, ეს კი სასაცილო ლოღიკაა. ჩემი ბავშვი მე თუ ცოცხალი მიყვარდა, მკვდარი კიდევ უფრო მიყვარს და, მე თუ მინდოდა, რომ მისი საფლავი ახლოს მქონოდა, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ მე ფარისეველი ვიყო, ან მორწმუნე კაცი.

მ. დეკანოზი მიკიჟინებს: მღვდლები წელიწადში ოც თუმანს ძლივს იშოვნიან, თქვენ კი დღეში ხუთ ათ თუმანს იშოვნითო. მის პირს შაქარი,—მეტი რა გვეთქმის ქუთაისის ექიმებს! უნდა გამოვტყდე, აქ მამა ლამბაშიძემ მაჯობა: მე ვერ გავაშიშვლე იმდენად სამღვდელოების საკითხი, რამდენადაც მან! სამღვდელოების საკითხი შეიცავს ორ მხარეს: მატერიალურსა და ზნეობრივს. მე ლაპარაკი მქონდა და მაქვს მხოლოდ ამ ზნეობრივ მხარეზე და არა მატერიალურზე. დღეს სოფლის სამღვდელოება რომ მატერიალურად უზრუნველყოფილი არ არის, ეს მ. დეკანოზზე არა ნაკლებ მესმის და სწორედ ეს გარემოებაც ისევ იმას ამტკიცებს, რომ სამღვდელოებამ ქრი-

სტეს მოძღვრებას გადაუხვია: ქრისტე ქადაგებდა თანასწორობას, სამღვდელოება კი წარმოადგენს იმგვარ წოდებას, სადაც სრული უთანასწორობა სუფევს,—დაბალ მოხელეებს ჰშიანთ, მაღალი მოხელეები კი ფუფუნებაში არიან, კარეტებით დასეირნობენ და თანასწორობისა და სათნოების ქადაგებელთ ბერებიც კოზლაზე ჰყავთ ხოლმე წამოსკუპებული! მე ვუსაყვედურებ სამღვდელოებას: შენ არ დაადექი ქრისტეს გზას, არ შეუწყე ხელი თანასწორობის დამყარებას-მეთქი, და მამა ღამბაშიძე კი ასე არღვევს ჩემს საყვედურს: სამღვდელოებამ თავის შორისაც ვერ დაარსა თანასწორობა! კი ბატონო, მჯერა, მაგრამ ეს ისევ სამღვდელოებას ამტყუნებს და ისევ იმას ამტკიცებს, რომ სამღვდელოებამ ქრისტეს მოძღვრებას თვითონვე გადაუხვია.

მე რომ ვწერდი: სამღვდელოება ხალხის მომხრე და დამხმარე უნდა იყოს-მეთქი, მ. დეკანოზს ჩემი სიტყვები ისე გაუგია, თითქოს მე სამღვდელოებას ვიწვევდე: თოფი და ზარბაზანი აიღეთ-მეთქი. სამღვდელოებას უკეთესი იარაღი ჰქონდა, უძლიერესი იარაღი, ვიდრე თოფი და ზარბაზანი:—სიტყვა. წმინდა მამები საუცხოვოდ სარგებლობდენ ამ იარაღით. ისინი, როგორც, მაგ. იოანე ოქროპირი, საჯაროდ სდევნიდენ უსამართლობას, ძარცვა-ყვლეფას, მდიდრების ფუფუნებას, მთავრობის ძალმომრეობასა და ბოროტ-მოქმედებასა და ამიტომაც იყვნენ დევნილნი და წამებულნი. სამღვდელოება სიტყვით უნდა შებრძოლებოდა ყოველგვარ უსამართლობასა და ქვეყნიურ ბოროტებას. ამის მაგიერ კი სამღვდელოება იმათ მიუდგა, ვისაც ქრისტე, მოციქულები და წმინდა მამები ებრძოდნენ, დატანჯულ ხალხს ძილის პირის გალობა დაუწყო და არიგებდა: ამ ქვეყანაზე ყოველივე ამაოა, ნურაფერი ნუ გინდათ, ყოველისფერი მოითმინეთ, ძალას დაემორჩილეთ, რადგანაც ის ღვთისაგან არის დაწესებული და სამაგიეროდ საიქიოს მოიპოვებთ სამოთხესო. აი, ამაში ხედავს სამღვდელოების ღვაწლს მამა ღამბაშიძე.

არა, მამაო! ეს ღვაწლი კი არ არის, ეს არის ხალხის დაბრმავება, ხალხის აზროვნების ცრუ და მის დამღუპველ გზაზე შეყენება. კი ბატონო, იყვნენ და არიან კარგი მღვდლები, იყვნენ და არიან კარგი მღვდელმთავრები; გაბრიელ ეპისკოპოსს მ. დეკანოზზე ნაკლებ არ ვაფასებ; ბევრი წმინდა მამების ღვაწლსა და სახალხო სამსახურს, თავგამეტებულ მოღვაწეობას მე სხვაზე ნაკლებ არა ვხედავ, მაგრამ სამღვდელოება აქ რა შუაშია? ერთი და ორი მერცხალი განა გაზაფხულს მოიყვანს? კი ბატონო! იყვნენ მღვდლები და მღვდელმთავრები ნამდვილი ქრისტიანები, იყვნენ განსაკუთრებით ქრისტიანობის პირველ ხანებში, მაგრამ ის დრო წავიდა. დღესაც არიან ნამდვილი ქრისტიანი სასულიერო პირნი, მაგრამ საერთოდ სამღვდელოება არ არის,—ამას ვამბობდი და დღესაც ვამბობ; აღარ ვიტყვი მხოლოდ მაშინ, როდესაც დღევანდელი სამღვდელოება ქრისტესავით აღამაღლებს ხმას ხალხის სასარგებლოდ და ხალხის მტრების წინააღმდეგ. კი ბატონო! იმისთანა პირები, როგორც ეპისკ. გაბრიელი, ებრძოდენ და ებრძვიან ძლიერის სიტყვით ხალხის მტრებს, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ სამღვდელოებაც ამ გზას ადგია?!

მ. დეკანოზმა ბევრი ილაპარაკა, მაგრამ ჩემი შეცდომა მაინც ვერ აღნიშნა. მ. დეკანოზი კიდევ აპირობს ლაპარაკს და ალბად ვერც მაშინ აღნიშნავს ჩემს შეცდომებს. მე კი დიდი შეცდომა მომივიდა აღნიშნულ წერილში და ისევ მევე უნდა აღვნიშნო: მე საწყალს იმედი მქონდა, რომ სამღვდელოება დღეს, ამგვარ დიად მომენტში მაინც შეიგნებდა თავის შეცდომას და ხალხის სასარგებლოდ და ხალხის მტერთა წინააღმდეგ აღამაღლებდა ხმას!

ივ. გომართელი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

25 სექტემბერი.

პეტერბურგი, 24 სექტემბერი. იუსტიციის სამინისტროში არკვევენ პროექტს ზოგიერთს ქალაქებში მოსამართლეთა რიცხვის გამრავლების შესახებ.—ავადმყოფ ებრაელებს სატახტო და დანარჩენ ქალაქების სამკურნალოებში წამლობის ნება დართეს.

„ნაშა ჟიზნ“-ი იუწყება, რომ შედგენა იმ წესებისა, რომლებიც ცენზურიან გაზეთებს საარჩევნო საკითხში მეტს თავისუფლებას ანიჭებენ, მიენდო სამწერლო საქმის უმთავრეს გამგეობის უფროსს, ბელგარდს. ამ წესებს ახლო მომავალში გამოაქვეყნებენ.

ერობათა და ქალაქების ცენტრალურ საკონსულტაციო ბიუროს პირველი სხდომა 29 სექტემბერს მოხდება. პეტერბურგის საარჩევნო კომიტეტი 12 საარჩევნო ბიუროს აარსებს.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

პეტერბურგი. დღეს უმაღლესმა სამხედრო სასამართლომ, პროკურორის პროტესტით, შესცვალა ოდესის საოლქო სამხედრო სასამართლოს დადგენილება ბერნშტეინის საქმის გამო, რომელსათვისაც სიკვდილით დასჯა უნდა გადაეწყვიტათ, და ოდესის საოლქო-სამხედრო სასამართლომ კი მხოლოდ ექვსი წლით კატორღა მიუსაჯა.

ყაზანი, 24 სექტემბერი. შიში იმის შესახებ, რომ ნავთი შემოეკლდებათ, ჯერ ნაადრევია. ვოლგაზე ნავიგაცია ჩვეულებრივ დროს გათავდება.

ირკუტსკი, „სიბირსკაია ჟიზნ“-ი ამბობს, რომ, ოფიციალურის ცნობებით, მანჯურიაში შავი ჭირით რამდენიმე ავადმყოფი აღმოაჩინეს. ეპიდემიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ენერგიული ზომებია მიღებული.

დონის როსტოვი, 24 სექტემბერი. როსტოვიდან გამოსული საფოსტო მატარებელი სადგურ კუშევსკაიასთან რელსებიდან გადავარდა. სამი ვაგონი სულ დაიმსხვრა, დანარჩენი ვაგონები ძალიან დაზიანებულია. მოკლულია ოცდაათი კაცი და მძიმეთ დაშავებულია ორმოცამდე. რელსები აყრილი ყოფილიყო.

ვენა, 24 სექტემბერი. „ფრემდენბლატ“-ი ოფიციალურად უარჰყოფს „ბერლ. გაზტ“-ში დაბეჭდილ ცნობას, ვითომც რუსეთის მთავრობამ, პეტერბურგში მყოფ ავსტრიის ელჩის შეკითხვაზე, ბაქოში ავსტრიის ქვეშევრდომთა ზარალის გადახდის შესახებ, უარყოფითი პასუხი გასცა. ამის შესახებ, ჯერ-ჯერობით, არავითარი ცნობები არ არის.

პეტერბურგი. გაზეთების ცნობებით, 24 სექტემბერს წარჩინებულ პირთა სხდომაზე, გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით, განხილულ იქმნა საკითხი სახელმწიფო სათათბიროში კავკასიიდან წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ. დამატებითი ცნობებისთვის, გადაწყვიტეს, ნამესტნიკს მიმართონ. პროექტში, როგორც ეტყობა, ძირითად ცვლილებებს შეიტანენ. შემდეგი სხდომა ჯერ დანიშნული არ არის. მახლობელ სხდომაზე განხილულ იქმნება საკითხი მინისტრთა კაბინეტში მინისტრთა მოქმედების შეთანხმების შესახებ.—როგორც სანდო წყაროებიდან გავიგეთ, გრაფი ვიტტე ცალკე მინისტრობას არ ჩაიბარებს; შინაგან და გარეშე საქმეთა საკითხებს კი ხელმძღვანელობას გაუწევს. კერძოდ, ვიტტე შინაგან საქმეთა მინისტრად არ იქნება.

ამ დღეებში პეტერბურგის სიონისტთა შეერთებულმა კრებამ დაადგინა, წინადადება მისცეს რწმუნებულებს, რომ მთელი რუსეთის სიონისტთა კრება მოიწვიონ. რუსეთში სულ ორასი ათასი სიონისტია. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი: რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს სიონისტთა ორგანიზაციას რუსეთის ეხლანდელ განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან.

სტამბოლი. რუსეთის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს ჩააბარა ჰაგის მეორე სამშვიდობო კონფერენციაზე მოწვევის ბარათი. როგორც ავტორიტეტულ და სანდო წყაროებიდან გავიგეთ, პორტა მონაწილეობის მიღებაზე თანხმობას განაცხადებს.

ბერლინი, 24 სექტემბერი. კოლონიალურ კონგრესის სხდომაზე პროფესორმა რატზენმა ილაპარაკა ემიგრაციის შესახებ და ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს საკითხი მსოფლიო ისტორიის საკითხიაო.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს, რომ რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის შეთანხმება ბერლინში არავის არ აშინებსო. შუაგულ აზიის საკითხებში შეთანხმება შესაძლებელია, მაგრამ სამთა კავშირის შეკვრა გერმანიის წინააღმდეგ კი ყოვლად შეუძლებელიაო.

ასხაბადი, 24 სექტემბერი. სპარსეთში მყოფი რუსეთის კონსული დეპეშით იუწყება, რომ სომხებსა და თათრებს შუა მტრობა მოისპო და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასიის ამბები აქაურებზე ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებსო.

პარიზი, 24 სექტემბერი. ტუბერკულოზის (ჭლექის) კონგრესის წევრებმა დღეს ბანკეტზე მონაწილეობა მიიღეს. დაესწრნენ: მიწად-მოქმედების მინისტრი რიუო, ლეონ ბურჟუა, კაზიმირ პერიე და კონგრესის 375 წევრი. პროფესორმა ლეიდენმა და პრეტერმა (ვენიდან არის მოსული). სიტყვები გერმანულ ენაზე წარმოსთქვეს. ბურჟუა მოხარულია, რომ მეცნიერების წარმომადგენლები სახელმწიფო პირებს უკავშირდებიან. ბურჟუას აზრით, ჭლექა—სოციალური ავადმყოფობაა.

მოსკოვი, 24 სექტემბერი. საღამოს შვიდი საათისთვის საერთო მიტინგია დანიშნული.

პეტერბურგი, 24 სექტემბერი. ნავთის საკითხის გამო დანიშნულმა რჩევამ, ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით, პროგრამის პირველი მუხლები განიხილა.

ირბითი, 25 სექტემბერი. საერობო კრების დარბაზში დღეს იმპერატორ ალექსანდრე II ბიუსტი აკურთხეს.

რჟევი, 25 სექტემბერი. ეკლესიებს ისევ ძარცვავენ. ამას წინათ სოფელ კოზმოდემიანოვსკში გაძარცვეს ეკლესია ერთი ბოროტ-გამზრახველთაგანი ამ დღეებში დაატუსაღეს.

ვენა, 25 სექტემბერი. გამოაქვეყნეს რომ უნგრეთში, შესაძლებელია, ისევ აბსოლუტიზმი დამყარდესო. სასახლეში მიღების დროს იმპერატორს, როგორც ამბობენ, ამის შესახებ ულაპარაკნია. მაგრამ უნგრეთი, მაინც შეუდრეკელია და, [illegible] პასსიურ წინააღმდეგობას საზღვარს არ გადადის.

ტოკიო, 25 სექტემბერი. ჩვენ გადმოგვცეს, რომ, როდესაც იაპონიის მისიის წევრები ამერიკის გემიდან იაპონიის გემზე გადავიდნენ, უკანასკნელს ხომალდი მაინი გემი დაეჯახა. ერთი ოფიცერი ზღვაში გადავარდა. ინციდენტს საიდუმლოთ ინახავენ.

მოსკოვი, 24 სექტემბერი. ქალაქის ინჟინერებმა გამგეობას გამოუცხადეს: თუ მუშების წინააღმდეგ რეპრესიული ზომები მიიღეს, სამსახურს თავს დავანებებთ, რადგანაც გაფიცვა, მუშათა ინტერესების დასაცველად ერთად-ერთი კანონიერი საშუალება არისო.—დღეს ყველა ფურნეებიდან პურს იტაცებენ. გამოირკვა, რომ გუშინ ორი ჟანდარმი კიდევ ჩაუქოლავებიათ, ერთი ჟანდარმი რევოლვერით მოუკლავთ, კაზაკთა ერთი ოფიცერიც ბრბოს გაუთელია. ერთი სტუდენტი სიტყვის სათქმელად, პუშკინის ძეგლზე ავიდა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა, ჩამოვარდა და სასიკვდილოთ დაშავდა. კაზაკები და ჟანდარმები, რომლებიც ხალხის წინააღმდეგ მარტო ხმლებსა ხმარობდნენ, ბრბოს ვერ მოუხერხდნენ, რადგანაც ბრბოდან მათ რევოლვერებს ესროდნენ. ღამე, როდესაც ბრბო დაიშალა, ქუჩებში ბევრი დაჭრილები აღმოაჩინეს.

სტესხიკო სასწავლებლის კომიტეტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ სასწავლებლის ცხოვრებაში უცხო ელემენტი არ უნდა ჩაერიოს ხოლმეო. სტუდენტებს სასწავლებლებში კრებების გამართვის უფლება უნდა მიეცეთ. უმაღლეს სასწავლებლების დასამშვიდებლად აუცილებლად საჭიროა, რომ პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის, პრესისა, კრებებისა და კავშირების თავისუფლება იქმნას აღიარებული. დღევანდელ კრებაზე ხმები ორად გაიყო: ნახევარი საერთო კრების დადგენილებას კანონიერად სთვლიდა, ნახევარი უკანონოდ. გადაწყვეტილია, რექტორს მიმართონ და კრების მეორედ გამართვის ნება სთხოვონ.

ქრისტიანია, 25 სექტემბერი. სტორტინგი კარლსტადის შეთანხმების საკითხის განხილვას შეუდგა.

ჰამბურგი, 25 სექტემბერი. სენატმა შესცვალა პოლიციის დადგენილება, რომლის ძალითაც რუსებს ჰამბურგზე გავლა აკრძალული ჰქონდათ.

პეტერბურგი, 25 სექტემბერი. პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა გამოაქვეყნა დადგენილება, რომლის ძალითაც უცხო პირებს ნება არ ეძლევათ ჩაერიონ ოფიცერთა მოქმედებაში, როდესაც ესენი სხვადასხვა მიზეზებისა გამო, სალდათებს აჩერებენ და შენიშვნას აძლევენ.

ვარშავა, 25 სექტემბერი. სტუდენტების კრება გუშინ დამთავრდა. დიდმა უმეტესობამ გადაწყვიტა, სწავლა არ დაიწყონ.

პეტერბურგი, 25 სექტემბერი. ზოგიერთა გაზეთების ცნობა, ვითომც გარეშე საქმეთა მინისტრი ლამზდორფი დასავლეთ-ევროპის სატახტო ქალაქებში მიდიოდეს, სიმართლეს მოკლებულია.

ჰელსინგფორსი, 25 სექტემბერი. კემიდან დეპეშით იუწყებიან, რომ 23 სექტემბერს, საღამოთი, ქალაქის მახლობლად, ჟანდარმებმა მიწაში ჩაფლული 17 თოფი და პატრონებით სავსე სამი ყუთი აღმოაჩინესო.

იურიევი, 23 სექტემბერი. საუნივერსიტეტო საბჭომ დამთავრა განხილვა იმ მოსაზრებისა, რომლებიც მიღებულ უნდა იქმნას, უნივერსიტეტში წესიერ სწავლის გასაახლებლად. ყველა წინადადება მიიღეს. საბჭომ გადაწყვიტა, იშუამდგომლოს საქმე ჯერ არს, რომ მიმდინარე სემესტრში მიიღონ უკლებლივ კურსელები, რომლებმაც კი თხოვნები შემოიტანეს (სულ ასი კაცია), და შემდეგშიაც ებრაელთათვის დანიშნულ % მოსპონ. გადაწყვეტილია, ქალები თავისუფლად მსმენელებად მიიღონ ხოლმე; ის ქალები კი, რომელთაც საშუალო განათლება აქვთ მიღებული,—სტუდენტებად. ეს დადგენილება ერთხმად მიიღეს.

სიმფეროპოლი, 23 სექტემბერი. ფიქრობენ, რომ სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლების არჩევის დროს, გამარჯვება ლიბერალებს დარჩებათ. გლეხთა პარტიას აზრათ აქვს საერთო პარტიას მიემხროს.

ყაზანი, 24 სექტემბერი. საეპარქიო კრებამ გადაწყვიტა, რომ დაუყონებლივ სასულიერო სასწავლებლებს რეფორმები უნდა მოხდესო.

პიატიგორსკი, 24 სექტემბერი. ღამე, რვა შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი, მთა ბეშტაუზე, მონასტერს დასცემია. მოკლულია ერთი მორჩილი. ბოროტ-გამზრახველნი მიიმალნენ.

ბაქო, 25 სექტემბერი. ბაქოს ნავთის ქარხნებში მუშაობას ამ მოკლე ხანში დაიწყებენ.

ტფილისი, 25 სექტემბერი. გუშინ, საღამოს ცხრა საათზე, ქალაქ ქუთაისში ვიღაც პოლიტიკურმა აგიტატორებმა სასიკვდილოდ დასჭრეს ბოქაული საყვარელიძე და უბნის ზედამხედველი ფხაკაძე.—დღეს ქუთაისის მაზრის სოფელ ბაღდადში ექვსი კაზაკი მოუკლავთ. დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა.

თეირანი, 25 სექტემბერი. თეირანში მოვიდა შაჰი, რომელსაც წარჩინებული პირები და დიპლომატიური კორპუსი დახვდნენ.

მოსკოვი, 25 სექტემბერი. ქუჩებზე გაკრულია განცხადება გრადონაჩალნიკისა, რომელიც ქუჩებში შეკრებას სასტიკად უკრძალავს.—დღეს გაზეთები კიდევ არ გამოსულა.

რადომი, 25 სექტემბერი. გუშინ, საღამოს ათ საათზე, ქუჩაში მიმავალ ოფიცერს ყუმბარა ესროლეს, მაგრამ ყუმბარა არ გასკდა. იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა, დარაჯი [illegible] მოკვდა. ბოროტ-გამზრახველმა ჯერ [illegible] მოჰკლა და მერე თავი მოიკლა. ბოროტ-გამზრახველი გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე, ზაბროვსკი, ყოფილა.

პარიზი, 25 სექტემბერი (ჰავასი). დღეს ელისეს სასახლეში ჭლექის საწინააღმდეგო კრების წევრთა პატივსაცემლად სადილი გამართეს.—თავადმა რადოლინმა, გერმანიის ელჩმა, კაზიმირ პერიე, ბურჟუა, პრეზიდენტი ერარი, პროფესორი ბრუარდელი და კრების ყველა გერმანელი დელეგატები დაპატიჟა.

რეფორმები რუსეთში

20 სექტემბერს ვიტტეს თავჯდომარეობით **მინისტრთა კომიტეტის კრება** მოხდა. კრებამ პოლონურ ენაზე სწავლების საკითხი განიხილა. ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა ის აზრი გამოსთქვა, რომ თუ პოლონეთის საკომერციო სასწავლებლებში სწავლა პოლონურ ენაზე იქნება, მოსწავლეებს სამხედრო ბეგარის შეღავათი უნდა წაერთვათ და გაუქმდეს 1896 წლის უმაღლესი ბრძანება, რომელიც ამბობს: „ფინანსთა და საერო განათლების მინისტრებს ერთმანეთში მორიგებით შეუძლიანთ პოლონეთის ვაჭართა საზოგადოებას ნება დართონ სავალდებულო გადასახადი გააწერონ კომერციულ სასწავლებლების შესანახად“. ამ კრებაზე პოლონეთის დეპუტატებმაც ილაპარაკეს. ისინი თანახმანი იყვნენ სამხედრო ბეგარის შეღავათის გაუქმებისა პოლონეთის სასწავლებლების მოსწავლეებისთვის, ოღონდ სწავლა სამშობლო ენაზე იყოსო. მინისტრთა კომიტეტმა დაადგინა: გარდა რუსული ენისა, რუსეთის გეოგრაფიისა და რუსეთის ისტორიისა, სწავლა პოლონეთის სასწავლებლებში პოლონურ ენაზე იყოს; 1896 წ. კანონი დარჩეს, ხოლო კომერციულ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულებმა სამხედრო ბეგარის შეღავათის მისაღებად ეგზამენი უნდა დაიჭირონ სახაზინო სასწავლებლებში (ს. ო.).

✦ გრაფ სოლსკის კომისიას სამი **პროექტი** მიუვიდა მინისტრთა კაბინეტის შესახებ. ერთი პროექტი ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს ეკუთვნის. კოკოვცევის აზრით, მინისტრთა კომიტეტი

ფელეტონი

საპყრობილეში

თარგმანი

— ეი! პოლიტიკა, ჩაი დალიეთ! შემოსძახა საპყრობილეს ბნელ დერეფნის კარებიდან მოსამსახურემ დატუსაღებულ ქალებს.

ქალები შეფუთხრიალდნენ, ერთმანეთს ეცნენ და ჩაის დასალევად დერეფანში გავიდნენ.

საღამოს ჩაი იყო ერთად ერთი გამართობელი: ჩაის მომზადება და ქიქა-ლამბაქების დარეცხვა-დაწმენდა ასხვაფერებდა ტუსაღ ქალთა ერთგვარ, მოწყენილ ცხოვრებას. სხვა დროს კი სულ დაღონებულნი იყვნენ ხოლმე.

თითოეული მათგანი თავის დარდს შეეპყრო, თითოეულ მათგანს გული გაწყალებული ჰქონდა და სულ უბრალო რამ საკმარისი იყო, რომ მეორეს წასჩხუბებოდა.

ექვსნი იყვნენ, ექვსთავე ახალგაზდა, სიცოცხლითა და ძალ-ღონით სავსე. მათ სწყუროდათ სიამოვნება, სიკეთე და ესენი კი გამოემწყვდიათ ერთ მყრალ ოთახში. ერთმანეთთან მუდმივი ყოფნა მობეზრებოდათ და საკვირველი არ არის რომ გული ასჩხრეკოდათ.

ერთი მათგანი—სონა—დერეფანში არ გავიდა, იგი საწოლიდანაც კი არ დაიძრა და უკმეხად უთხრა დანარჩენებს—მე ჩაი არ მინდა!

მეორე—მაშო—თანაგრძნობით მიუახლოვდა, სახეში სონას ჩააშტერდა და ალერსიანად ჰკითხა.

— რას გაფითრებულხარ, ავად ხომ არა ხარ?

— ავად კი არა და!—გაჯავრდა სონა, მაგრამ თავი შეიკავა და ალერსიანად დაუმატა—გეთაყვა, თავი დამანებე, მინდა ასე ვიწვე.

მაშო დერეფანში გავიდა და საკანის კარები გაიხურა. სონა კი ერთხანს უნძრევლად დარჩა ლოგინზე, მერე ბორგვა დაიწყო, ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდა, ხან მეორეზე, მაგრამ მაინც ვერ მოისვენა. ბოლოს ლოგინიდან ჩიტივით წამოფრინდა, საწოლზე ხის მაღალი სკამი შესდგა, თითონ სკამზე ავიდა, მოჰკიდა ფანჯრის რკინებს ხელი და ფანჯარა გააღო.

— მეერ! შესძახა ვიღაცას.

ხმა არავინ გასცა. სონამ გაჯავრებით კედელი ორჯერ დააკაკუნა. ცოტახნის შემდეგ ზემო სართულის საკანის ფანჯარაც გაიღო.

— სოფიო, თქვენა ხართ?

— მე ვარ!.. ჩაი დალიეთ?

— არა, ჯერ ჩვენთვის არ შემოუტანიათ...

რომ იცოდეთ, რა მშვენიერი საღამოა!..

— მეც ეგ უნდა მეკითხნა...

— რა უნდა გეკითხნათ?

— როგორი საღამოა მეთქი, თქვენ მაღლა ხართ, თქვენის ფანჯრიდან ყველაფერი კარგადა სჩანს. ჩემ ფანჯრებს კი ეს წყეული კედელი აჰყუდებია და აბრმავებს. მინდორს ხომ ხედავ... მდინარესაც?

— კი, მდინარეც მოსჩანს.

— მაშ .. აბა მიამბეთ...

— ჰმ. . გიამბოთ?

მეერი ხანგრძლივ დააცქერდა თვალ-უწვდენელ სივრცეს, შორს მოლაპლაპე მდინარეს, მდელოს ველ-მინდორს. იგი სცდილობდა აღმოეკითხნა ბუნების საიდუმლოება, შეეგნო ის გრძნობანი, რომელთაც დიადი ბუნება გულში უღვიძებდა. უყურა, უყურა და...აი, მის თვალში ბუნება იგი გაცოცხლდა, შეირხა, შეიშმუშნა, მინდვრიდან მონაბერმა ალერსით სავსე, მშობლიურმა ჰანგებმა გამოუთქმელად ასიამოვნეს თავის დღეში ასე ტურფა და ლამაზი არ ჰგონებია სამშობლოს მიდამო, თავის სიცოცხლეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ასე ძალზე ჰყვარებია მშობელი ქვეყანა!.. მეერს მოუნდა მისი აღწერა, მისი შექება, მით უმეტესს, რომ აქვე, მისის საკანის ქვეშ დამწყვდეული, სევდით შეწუხებული ტურფა არსებაც ამასვე სთხოვდა.

— კარგი... გიამბობ! აღელვებით ჩამოსძახა სონას, რადგანაც იგრძნო, რომ რაღაც გამოუთქმელმა ბოლმა-ნაღველმა, რაღაც გაურკვეველმა სევდამ თანდათან შეიპყრო მისი გული, თვალებში ცხარე ცრემლები მოუგორა... მეერს უნდა ლაპარაკი, ლაპარაკი მქუხარე, მედგრად, გულის კვნესის სიტყვებად გადაქცევა მაგრამ...

მაგრამ...

უბრალო მუშა შესაფერ სიტყვებს ვერა პოულობდა!

— ვერ გიამბობ... ვერ ვახერხებ! — სთქვა მეერმა დარცხვენით. ხოლო როცა სონამ ეს მისი სიტყვები ვერ გაიგონა და კვლავ თხოვნა გაუმეორა, მეერმა გაჯავრებით ჩამოსძახა!

— ან კი რა უნდა გიამბო!

— მდინარე განიერია?

— განა არ იცი, რამოდენაცაა ჩვენი მდინარე!

— ხეები გაფოთლილია?

— რასაკვირველია .. წაბლისა და ალვის ხეები ტურფად შემკულან.

— მინდორიც ისევ ფართოა?

— ოხ,—აღტაცებით ჩამოსძახა მეერმა—რომ იცოდე რა ფართოა, რა მშვენიერია!..

— ვინ იცის, როგორ საუცხოვოდ ბიბინებს—ნაღვლიანად სთქვა სონამ—ვინ იცის ნორჩი, ხავერდოვანი ბალახი როგორ მორცხვად ირხევა და შორიდ-შორის მიჰკრთის მისი ბზინვა, მისი ღელვა... ასე მგონია ყვავილ-ბალახებში ჩამალული საიდუმლო ხმები, საცაა, ზევით ამოცურდებიან და გაზაფხულსავით ნათელნი და მხიარულნი აქ, საპყრობილის გალავანზე, სიმღერას მორთავენ-მეთქი!.. ვინ იცის წყალიც როგორ საოცნებოდ ლიცლიცებს, გულმშვიდი, თავისუფალი, ალბად იღიმება, იცინის და ეს ყრუ, ჩუმი სიცილი ტალღათა სრბოლას უერთდება. ალბად, ყველგან სიმშვიდე, გამარჯვებული ძალა და სიცოცხლეა გამეფებული...

სონა ლაპარაკობდა გარკვევით, ხმა მაღლა, როგორც ლაპარაკობს ხოლმე გამოცდილი ორატორი. იგი ლაპარაკობდა თავისუფლად, გაბედვით, როგორც ყოველთვის ულაპარაკნია, მაგრამ ასე თავისდღეში არ მოსწყურებია, მოქარგვით, მხატვრულად გამოთქმა თავისის გულის ნადებისა, ასე არსად მოსდომებია დაჩიელება, როგორც ახლა...

მეერი გატაცებით უგდებდა ყურს, მაგრამ ნიავი იტაცებდა სონას სიტყვებს და მეერს ნახევარიც არ გაუგონია. სამაგიეროდ სონას სევდიანი ხმა უფრო მჭერმეტყველურად უხატავდა ამ ქალის გულის ტკივილს და... მეერსაც სევდა ერეოდა, რაღაც ტკბილი და თან მწარე გრძნობა უფართხალებდა გულის სიღრმეში.

— იქ, მინდორის იქით, ალბად, მოსჩანან სახლების სახურავები, — აღარ ისვენებდა სონა, — ჩამავალი მზე უალერსებს ამ სახურავებს. მალე სანთლის შუქიც აწრიალდება ფანჯრებში... ხალხი თავისუფლად გამოვა გარედ, რომ დასტკბეს მშვენიერის საღამოთი. იქ ოცნებებენ სიყვარულზე, იკამათებენ, იმღერებენ. ისინი შეიკრიბებიან და მსჯელობას გამართავენ იმის შესახებ, რომ ქვეყანას აღარ იყოს რკინის ფანჯრები, ის რკინის ფანჯრები, რომლის იქითაც ჩამკვდარა ამდონი ოცნებანი, ამდონი კვნესა, ამდონი ოხვრა და მწარე ცრემლები... რკინის ფანჯრები კი ისევ აღმართულან, ძლიერები, მკვიდრნი, ჩვენც ვსხედვართ და ვიცდით აქ... და ამ ჩვენ ტანჯვას, მგონი ბოლოც აღარ ექნება...

— ექნება!.. მხურვალედ ჩამოსძახა მეერმა.—გულს ნუ გაიტეხ, სოფიო, გესმის? იქ... სოფლად ჩვენ ისე ვცხოვრობდით, როგორც შეჰფერის თავისუფალ ხალხს... ციხე ვერას დაგვაკლებს?!

— მართალი ხარ, მეერ, მაგრამ იქ მინდორია, მინდორი ფართო და თავისუფალი, ტურფა, როგორც ტკბილი სიზმარი და მომხიბვლელი, როგორც ზღაპარი. იქ სიცოცხლე და მოძრაობაა. იქ... თავისუფლებაა. გესმით, საღამურს უკრავენ, ოჰ რა ზეამტაცი, რა დიდებული ჰარმონიაა... მე არა მაშინებს-რა და არც არა მინანებია-რა, მაგრამ... ღამის ჭკუიდან შევიშალო, არა! მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან!

სონა დაჩუმდა... სდუმდა დიდხანს, მერე მეერს შესძახა „ნახვამდისო“, ფანჯრიდან ძირს ჩამოვიდა და ლოგინზე განერთხო.

უცნაურმა, საზარელმა გრძნობამ შეიპყრო იგი. საკანი, საწოლები, რკინის ფანჯრები იქამდე შემზარავად ეჩვენა, რომ კინაღამ მართლა ჭკუაზე არ შესცდა. მას ვერ წარმოედგინა, როგორა სძლებდა აქ, ამ საკანში, რომლის გარედაც გასვლის ნება არა ჰქონდა. ვერ გაეგო რომელმა ბნელმა ძალებმა ჩამარხეს ის, სიცოცხლით სავსე, ბედნიერებისა და სიტკბოების მოტრფიალე არსება, ამ ჯურღმულში, ამ სამარეში. იმდენად ველური, გაუგებარი და წარმოუდგენელი იყო ეს ძალმომრეობა, რომ სონას უნდოდა ეყვირნა, თავი კედლისათვის ეწყვეტებინა. სონას ამხანაგებიც განიცდიდნენ ხოლმე ამ გრძნობას, მაგრამ სონა იმდენად ექვემდებარებოდა ამ გრძნობის ზეგავლენას, რომ სწორედ ძლიერი სულის ძალა უნდა ჰქონოდა, რომ საკანის ფანჯრები არ ჩაელეწნა, კედელი არ დაენგრია, თავგანწირულებით არ ეყვირნა და არ ებღავლა. ახლაც, ბალიშში თავჩარგული, მთლად კანკალებდა.

დერეფანში ქალებმა ჩაის სმა გაათავეს, საკანში შემოვიდნენ და თავ-თავის საწოლებზე ჩამოსხდნენ. ზოგმა წიგნი აიღო, ზოგი კიდევ საბანს უაზროდ აცოდვილებდა. დრო გამოშვებით რომელიმე მათგანის გულიდან ამოხეთქილი მწარე ოხვრა მოისმოდა. სონას ამ წუთას ყველანი შეეჯავრა. კიდევ მოვიდნენ?—გაიფიქრა იმან და ყველა ზიზღით ჩამოათვალიერა, თითქოს ისინი დამნაშავენი იყვნენ, რომ ამ საკანში გამოემწყვდიათ. მერე თვალები დახუჭა და კედლისაკენ გადაბრუნდა. ოხ, რა მოწყენილი, რა უბედური იყო ამ დროს!

რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთის საკანიდან, მოისმა სიმღერის ხმა, ხმა იგი შეიჭრა ქალების საკანის ფანჯრებში და ყველას სული გაუცოცხლა.

ჯერ ისევ სულ ახალგაზდა, [illegible] და ლამაზ თვალებიანი მარო ქურციკივით წამოვარდა საწოლიდან, ფანჯარასთან აცოცდა და დაბალის, მაგრამ მშვენიერის ხმით, ისიც სიმღერა შემოსძახა. ერთი წუთის შემდეგ მთელი ხორო გაიმართა.

სონაც წამოდგა ლოგინიდან და ყური წაუგდო.

ხორო თანდათან იზრდებოდა, სატუსაღოს ყველა კუთხიდან სიმღერა მოგუგუნებდა. გეგონებოდათ ფრთაშესხმული ოცნება ციხის ფანჯრებთან დაფარფატებსო, მედგრად გრიალებდა სიმღერა იგი და საპყრობილეს გალავნის იქით შორს, სივრცეში იფანტებოდა...

სიბრალულმა, უსაზღვრო სიბრალულმა შეიპყრო სონას გული და ყურადღებით ჩამოათვალიერა თავისი ამხანაგები. რა მშვენიერი სახეებია, რა დაფიქრებული თვალებია! საბრალო ნორჩო ყვავილებო, რად დაგიხშეს თქვენ მზე და მისი სინათლე?!.. თითოეულ მათგანს იქ, სოფლად, ვინ იცის რა ფიქრი და ოცნება არ დარჩენია? ახლა კი... მხოლოდ სევდა... და თავისუფალ ცხოვრებაზე ოცნებანი ჩვენი ხვედრი—მწარედ გაიფიქრა სონამ.

სიყვარულისა და თავისუფლების გამომთქმელი სიმღერა კი კვლავ გუგუნებდა.

სიყვარული!.. სონამ გაიხსენა ის სიყვარული, რომელიც აქ, ამ დახავსებულ კედლებთა შორის, ჩაინერგა.

სხვადასხვა საკანებ შორის მიწერ-მოწერა იყო ხოლმე გამართული და ტუსაღები ამ მიწერ-მოწერით ერთმანეთს ეცნობოდნენ. მარო და ერთი სტუდენტი—ტარასიც წერილებს ერთმანეთს ხშირადა სწერდნენ. ამ სტუდენტის წერილებს მარო უკითხავდა სონას, რომელიც აღტაცებით ისმენდა ხოლმე ამ მაგარ კედელთა შორის დამწყვდე-

უნდა დარჩეს და მას მიენდოს ყველა სამინისტროების ფუნქციების გაერთიანება; მეორე პროექტი მინისტრთა საბჭოს თხოულობს, ხოლო მინისტრთა კაბინეტის დაარსებას სწორედ იმგვარად, როგორც დასავლეთ ევროპაშია. სანამ სოლსკის კომისია სამივე პროექტს არ განიხილავს და თავის აზრს არ გამოსთქვამს, მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებებში არავითარი ცვლილება არ მოხდება (რ. ვ.).

◆ „პეტრ. გაზეტას" სიტყვით, ვიტტეს დღეს თუ ხვალ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნავენო. ამავე გაზეთის სიტყვით, პოლიციის გამგე სამინისტროს გააუქმებენ და ადმინისტრაციის დეცენტრალიზაციისთვის რუსეთის განაპირა ქვეყნებში კიდევ **რამდენსამე სანამესტნიკოს დააარსებენ** (რ. ვ.).

◆ უმაღლესის ბრძანებით, სახელმწიფო კანცელარია შეუდგა იმ საქმეთა სიის შედგენას, რომელნიც **სახელმწიფო სათათბიროს უნდა გადაეცეს განსახილველად** (რ. ვ).

◆ მთავარმა სამხედრო სასამართლომ სამოქალაქო სასამართლოებს შეატყობინა, რომ კანონით სამოქალაქო სასამართლოს დახვრეტის ნება არა აქვს; მას შეუძლიან მხოლოდ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტოს დამნაშავეს; **დახვრეტა სამხედრო სასამართლოს საქმეაო** (რ. ვ.

◆ დაარსდება თუ არა რუსეთში მინისტრთა კაბინეტი—რაიც დღეს თუ ხვალ მოხდება, მაშინვე გაუქმებულ იქმნებიან განსაკუთრებული კომისიები იგნატიევისა, სოლსკისა, გორემკინისა, საბუროვისა, კობეკოსი და სხ. ამ კომისების მიერ შეგროვილი მასალა მინისტრთა კაბინეტს გადაეცემა. განზრახულია ამავე, დროს გააუქმონ ახლად დანიშნული და უწესოებით გამოწვეული საგენერალ-გუბერნატოროები, გაძლიერებულ და ომის დროის წესები, რადგან, **როგორც თვითონ მთავრობა დარწმუნდა, გაძლიერებულ და ომის დროის წესების შემოღებას სასურველი შედეგი** არ მოჰყვა.

ახალი ამბავი

◆ თანახმად ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორის შეკითხვისა თუ, რა პირობებით დაუბრუნდება საბჭო სამსახურს, **ტფილისის საბჭოს ხმოსნებს** და გამგეობის წევრებს, ასე 47 კაცს, პარასკევს, 24 სექტემბერს, ინჟ. კირაკოსოვის ბინაზე კრება ჰქონდათ და გადასწყვიტეს: 1) საომარ წესების შეცვლა, რადგანაც ამ წესების ძალით კრებების გამართვას ისეთი სისხლის ღვრა მოსდევს, როგორც 29 აგვისტოს იყოვო; 2) სიტყვის თავისუფლება, ე. ი. სანამ უმაღლესად გადაწყდება საკითხი პრესსის თავისუფლებისა ნამესტნიკმა ისეთი თავისუფლება მაინც მიანიჭოს პრესსას, როგორც, მაგალითად რუსეთის სატახტო დიდ ქალაქებსა აქვთ. 3) კრებების გამართვის თავისუფლება, რადგან ხალხი ძლიერ მოწყურებულია ერთად შეყრას და კრების გამართვას. 4) პიროვნების ხელუხლებლობას იმ პირთა, რომელნიც კრებაზე დაიარებიან, და 5) სასტიკი გამოძიების მოხდენა 29 აგვისტოს ინციდენტის შესახებ. გენერალ-გუბერნატორთან პირისპირ მოსალაპარაკებლად კი არჩეულ იქნა კომისია 6 კაცისაგან: ექიმი ა. ი. ხატისოვი, ა. ს. ბაბოვი, ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ი. მ. დოლუხანოვი, გ. მ. თუმანოვი და ვ. ნ. ჩერქეზიშვილი.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს ახალ ხმოსნების ამორჩევამდე ქალაქის საქმეებს **განაგებს საგუბერნიო ადმინისტრაცია.**

◆ კვირას, 25 აგვისტოს, ჩვენ მკითხველებს ვაუწყებდით, რომ, კავკასიაში პოლიციის უფროსმა გენერალმა შირინკინმა შუამდგომლობა აღძრა, 29 აგვისტოს მომხდარ უბედურების გამო უმთავრესი დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი და პრესსასაც ნება მიეცეს ამ ამბის შესახებ თავისუფლად სწეროსო". ახლა გენერალი შირინკინი „კავკაზში" ოფიციალურად აცხადებს, **რომ ეს ამბავი მოცლილ ფანტაზიის ნაყოფიაო.**

◆ 25 ენკენისთვეს **გაიფიცნენ ტფილისის სასულიერო** სასწავლებლის მოწაფენი და სასწავლებლის მთავრობას თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს.

◆ 25 სექტემბერს, 12 საათიდან, გაიფიცნენ ტფილისის მეეტლეები და არ გამოსულან ბირჟაზე, სანამდის ქალაქის გამგეობამ 4 თვის ვადით არ დააცალა ფულის შეტანა. მოძრაობა მეეტლეებმა მხოლოდ საღამოდან დაიწყეს.

◆ **ქუთაისი.** ოთხშაბათს, 21 სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე, ბულვარზე შემდეგი ამბავი მოხდა: ტროტუარზე, ბულვარის მახლობლად ზურგში დასჭრეს ქვითირის სოფლის საზოგადოების მწერალი, რ. მეძმარიაშვილი; ტყვიას ზურგში გაუვლია და კერძო პროგიმნაზიის მასწავლებელს, კლავდია ლოსევს, მოხვედრია. მეძმარიაშვილი, ქვითირში თურმე მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ძალიან ხელს უშლიდა (ჩ. ვ.)

◆ კობეკოს კომისიას 20 სექტემბერს განუახლებია მუშაობა. კომისია შესდგომია **არა რუსულ პრესსის შესახებ** საკითხის განხილვას. კომისიას მიუწვევია სამი პოლონელი და ერთი ებრაელი **რედაკტორი.**

◆ ქალაქის გამგეობამ ვიატკის ქალაქის მოურავისაგან **შემდეგი დეპეშა მიიღო:**„ ვიატკის ქალაქის საბჭო შეძრწუნებული იმ საშინელებით, რომელიც ქალაქის საბჭოს დარბაზში 29 აგვისტოს მოხდა და ღრმად აღშფოთებული უიარაღო, მშვიდობიან მცხოვრებთადმი არა ადამიანურ მოპყრობისათვის, გულწრფელს სამძიმარს უცხადებს ამ სისხლის ღვრის უდანაშაულო მსხვერპლთა ჭირისუფლებს, ქალაქის გამგეობას და საბჭოს ხმოსნებს კი—გულწრფელ თანაგრძნობას იმის გამო, რომ ასე გაბედულად და მედგრად გამოუცხადეს პროტესტი ძალმომრეობასა და თვითნებობას. ვიატკის ქალაქის მოურავი პოსკრებიშევი''.

◆ კვირას, 25 სექტემბერს, კავკასიის ნამესტნიკთან სადარბაზოთ იყო სომეხ-გრიგორიანთა ეპისკოპოსი გარეგინ სატუნიანი და **სთხოვა ბაქოს სასწავლებლებიდან** ტფილისისაში მიღოთ ასამდე მოწაფე ორთავე სქესისა. ნამესტნიკი შეჰპირდა თხოვნის აღსრულებას.

◆ გუშინწინ, 25 სექტემბერს, ექსარხოსის ბინაზე ხიროტონია იყო **ახლად დანიშნულ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გიორგისა** (ალადაშვილისა). ხიროტონიას დაესწრნენ ეპისკოპოსები: იმერეთისა ლეონიდე, კავკავისა გერმანე და გორისა ევთიმე. წირვას დაესწრნენ აგრეთვე კავკასიის ნამესტნიკი მეუღლითურთ.

◆ საქართველოს ექსარხოსმა მოისმინა რა სასულიერო სემინარიის გამგეობის ჟურნალი სწავლის შეწყვეტის გამო, დაამტკიცა აზრი იმ მასწავლებელთა უმრავლესობისა, რომელნიც **მოწაფეთა დათხოვნის მომხრენი იყვნენ.**

◆ **ოზურგეთი.** გუშინ, საღამოს 9 საათზე, შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა ადგილობრივ მცხოვრების კ. კალანდაძისას, როცა ცოლი კალანდაძისა და ორი სტუმარი ვ. კ—ძე და კ. ბებურიშვილი კარლია ოთახში ისხდნენ და ლაპარაკობდნენ, დაიჭექა თოფმა და ბებურიშვილი მძიმედ დაიჭრა; შეშინებული კალანდაძის ცოლი გარედ გამოვარდა, მაგრამ კიდევ დაიჭექა ორჯერ თოფმა და ქალი უსულოდ დაეცა. მკვლელი მიიმალა.

მკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით საიდუმლოებითაა მოცული...

◆ გუშინწინ, ტფილისში ჩამოიტანეს სადგურ **ახტალასთან გაძარცულ ფოსტის ვაგონში მოკლული** მოხელის გვამი. გატაცებულ ფულის რაოდენობა—6,825 მანათს უდრის. შეიპყრეს ფოსტის მოხელე ილია კალუმბეკოვი, რომელზედაც დიდი ეჭვი აქვთ. კალუმბეკოვს პერანგზე სისხლის ნიშნები აღმოაჩინეს.

◆ ვ. ტ. შოშინმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის ნამესტნიკთან, რომ ნება დართოს ქ. კავკავში ყოველდღიური გაზეთ **„კავკაზსკაია ჟიზნის" გამოცემის შესახებ**, რუსულს ენაზე.

◆ რადგანაც ალექსანდროპოლის მაზრაში ხალხის მღელვარება დაიწყო, ყარსის რკინის გზის არჩუტის რაიონის მუშებმა მუშაობას **თავი გაანებეს და გაიქცნენ.**

◆ დუშეთის მაზრის ადმინისტრაციის შუამდგომლობა აღუძრავს საგუბერნიო მთავრობის წინაშე, რომ ქვიშხეთის საბოქაულოს სოფლის **საზოგადოებებს** ყოველ წლივ სახელმწიფო ტყეებიდან უფასოდ მიეცეთ სამ-სამი საჟენი შეშა და ნახევარი საჟენი ფიჩხი თვითეულ კომლზე. აღნიშნულ საბოქაულოს გლეხები შევიწროვებულნი ყოფილან უტყეობით და უგზოობით და შეშის მაგიერ დღემდე წივას ხმარობდნენ თურმე. ეხლახან გლეხებს საურმე გზა გაუკეთებიათ ოცი ვერსის მანძილზე.

◆ ტფილისელ **ბერძენთა ერთ წრეს განუზრახავს** დაარსოს ბერძნულ წიგნების გამომცემელი საზოგადოება. ბერძნებს განუზრახავთ აგრეთვე საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება.

◆ ტფილისის **სამარხ კასის გამგეობამ** შუამდგომლობა აღძრა წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ.

◆ გორის მაზრის უფროსმა და გორის ქალაქის მამასახლისმა შუამდგომლობა აღძრეს—ნება მიეცეთ **დაარსონ გორში საქველმოქმედო საზოგადოება.** (ცნ. ფ.).

◆ 21 სექტემბერს, ვიღაც ბოროტ-გამზრახველი, საღამოს რვა საათზე „თეთრს-დუქნის"-ს პატრონს მიხეილ ხითაროვს დასცემია და 35 მანათად ღირებული ვერცხლის ქამარი წაურთმევია. მიხეილ ხითაროვის სიტყვით, ბოროტ-გამზრახველს პოლიციის დარაჯის ტანისამოსი სცმია, ახალი სისტემის თოფი, რევოლვერი, ხმალი და პატრონებით სავსე პატრანტაში ჰქონია. 22 სექტემბერს, დილის თერთმეტ საათზე, იგივე ბოროტ-გამზრახველები დუშეთის მაზრის სოფელ ქოშორტის მცხოვრებ ნიკოლოოზ ლაფაჭაშვილს დასცემია და ოთხ თუმნად ღირებული ვერცხლის ქამარი, 29 მან. ღირებული, ვერცხლით შეჭედილი ხანჯალი, სახაზინო რევოლვერი და 125 მანათი ფულით წაურთმევიათ.

◆ ქუთაისის სასულიერო სემინარიის შტატს გარეშე მყოფი მასწავლებელი ჭოლოქაძე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ქართულ ენის მასწავლებლად დაინიშნა. (ჩ. ვ.).

◆ ტფ. პირველ სავაჟო გიმნაზიის მთავრობას უკვე დაუმტკიცებია წესდება **მოწაფეთა საამხანაგო სასამართლოსი.** მოსამართლეებს აირჩევენ მოწაფენი უფროს კლასებისა (5—8 კლ.) თავიანთ შორის 12 კაცს ერთის წლის ვადით. მოსამართლენი თავის მხრივ აირჩევენ ერთ მასწავლებელს ხელმძღვანელად. მოსამართლეთა გადაწყვეტილება სავალდებულოა და განუსაჩივრებელი. სასჯელი იქმნება: ბოიკოტი საყვედური, ვადიანი და უვადო და გამორიცხვა სასწავლებლიდან.

◆ აქამდე რუსულ სცენაზე წარმოსადგენად აკრძალული იყო ფოსის სამ-მოქმედებიანი დრამა „დამნაშავეა?" დღეიდან კი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ამ დრამის წარმოდგენა ნებადართულ იქმნა.

◆ სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, **ამნისტია პოლიტიკურ საქმეებისა** გამოცხადდება სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დაწყების პირველ დღეს.

◆ ბაქოს გუბერნატორის, თ-დ **მ. ა. ნაკაშიძეს მოკვლის საქმეს**, როგორც გაზეთი ,,კასპი'' გადმოგვცემს, დროებითი სამხედრო სასამართლო ხვალ გაარჩევს.

◆ ბაქოს სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი **არჩილ მიქაბერიძე** ქუთაისში გადაიყვანეს (ბ.).

◆ კავკასიის ნამესტნიკმა კავკასიის **სტიპენდიანტათ საიმპერატორო ნიკიტის სასწავლებელში დანიშნა** დუშეთის მაზრის სოფელ კოტორაანთკარის მცხოვრები **დ. კორტამაშვილი.**

◆ ფოსტა ტელეგრაფის ოლქის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რადგანაც ამ ბოლო დროს გახშირდა ფოსტაზე თავსხმა, ჟანდამები ამიერიდან შიგ ვაგონში უნდა იმყოფებოდნენ, და არა გარედაო.

◆ საეპარქიო დედათა სასწავლებელის ინსპექტორად **კორნელი კეკელიძე** გაამწესეს.

◆ სტამბის პატრონმა ე. ხელაძემ საჩივარი შეიტანა ექსარხოსთან, რომ მის მიერ შეტანილი ბეის ფული 4300 მანათი ხაზინადარ არდაზიანს წიგნებში არა ჰქონია შეტანილი და 8177 მანათიც მერგებაო დამზადებულ ბლანკებში.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენება, სატუსაღოში დამნაშავეთ თუთუნის მოწევა სასტიკად აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ ტუსაღები თავისას არ იშლიდნენ და ათასნაირის საშუალებით მოსაწევ თუთუნს მაინც შოულობდნენ. ბევრნაირად ეცადა ციხის მთავრობა, როგორმე დაეხშო ტუსაღებისათვის თუთუნის მოსაშოვებელი გზები, მაგრამ რომ ვერას გახდა, ამ სამი წლის წინად შუამდგომლობა აღძრა სამინისტროში ტუსაღებს თუთუნის წევას ნება მიეციოთ. ახლა, როგორც გავიგეთ, სამინისტროს ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია.

პროლეტარიატის განუვითარებელი იდეოლოგი

(წერილი გაზ. „არშალუისიდან» № 21)

სატახტო ქალაქების გაზეთებთან ერთად ჩვენი მეზობელ ქართველების გაზეთებიც ეხებიან სომეხ-მაჰმადიანთა განხეთქილებას. პირველად ხმა ამოიღო „ივერიამ", ქართველ თავადების ორგანომ და მათ კლასიურ ინტერესების დამცველმა, რომელიც თავის პოლიტიკო-სოციალურ აზრებით ქართულ პრესსაში კონსერვატიულ მიმართულებას ადგია. შემდეგ ალაპარაკდა «ცნობის ფურცელი", ქართველ წვრილ ბურჟუაზიის და იდეალისტ-ინტელიგენციის თანამედროვე პოლიტიკურ მისწრაფებათა გამომხატველი პროგრესიული ორგანო. ბოლოს გამოიდა ასპარეზზე, და არ ვიცით კი რად დაიგვიანა, „მოგზაური", მუშათა კლასის ახლანდელ კლასსიურ ინტერესებისა და სოციალ-პოლიტიკურ იდეალების დამცველი.

ვინც შეჩვეულია ობიექტიურ მსჯელობას, ვინც ცალმხრივად არ ახასიათებს საზოგადო ცხოვრების რთულ მოვლენებს, არამედ გულდამშვიდებით და მოფიქრებით ირკვევს ცხოვრებას ფაქტებს და ამ ფაქტების შემქმნელ მიზეზებს მიუდგომლად ეკიდება,—იმას არ გაუკვირდება, რომ მსხვილ მემამულეთა და წვრილ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველნი,—„ივერია" და ,,ცნობის ფურცელი ვერ ახერხებენ იმ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტების და მათ რეალურ მიზეზების ობიექტიურად გაგებას და გადმოცემას და სახელდობით ცდილობენ წინ გაიგდონ თავიანთი ნაციონალისტური ფრაზეოლოგია, ყოველივე ამას გადაკრულის სიტყვებით ჩადიან და არა პირდაპირ.

სამაგიეროდ სულ სხვა რასმე მოველოდით იმ ჟურნალისაგან, რომლის არსებობის მიზანია,—მარქსისტურ მოძღვრების მიხედვით ცხოვრების სოციალურ მოვლენათა გამორკვევა და სხვადასხვა მძიმე პოლიტიკურ კითხვების შესწავლა. ამ მოძღვრების ნიადაგზე დარჩენა ყოველ მარქსისტულ ორგანოსათვის აუცილებელია და სავალდებულო.

ნამდვილად კი სულ სხვა ნაირად ეხება ამ საქმეს „მოგზაურის" წერილის პატივცემული ავტორი. 11 ენკენისთვეს „მოგზაურის" № 33 მოთავსებულია წერილი შემდეგის სათაურით: „სომხებისა და თათრების ურთიერთობა ამიერ კავკასიაში". აწერს ფ. მახარაძე.

გამოტეხილი უნდა ვთქვათ, რომ ფ. მახარაძის ხსენებული წერილი მოგვაგონებს შაგირდის ნაკარნახევს, რომელიც გულუბრყვილო და ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრებით სავსეა. ვწუხვართ, რომ ვრცელი პასუხის დაწერა არ შეგვიძლიან, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფ. მახარაძის წერილში საზოგადო ფრაზებს გარდა არაფერი არ არის და მეორეც იმიტომ გაზეთში საპასუხოდ ბევრი ადგილი არა გვაქვს. ნურაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ჩვენი პატივცემული ,,მარქსისტი'' ერთ ფაქტის დასახელებითაც არ სცდილობს დაამტკიცოს თავისი შეხედულება სომეხ-თათართა ჟლეტის შესახებ, და საკმარისად მიაჩნია მხოლოდ სხვადასხვა გულუბრყვილო ფრაზები, ვითომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ყოფილიყოს სომხებსა და თათრებში მტრობა და სიძულვილი (რა საფუძველი უნდა ჰქონდეს ამ ეროვნულ განხეთქილებას?), ნურაფერს ვიტყვით ამაზე,—ავტორი იმეორებს, რასაკვირველია სხვა სიტყვებით კი, ვიდრე „ივერია" და ცნობის ფურცელი", ამ გაზეთების სათაყვანო ნაციონალისტურ ტენდენციებს, რომლის გამეორებაც მარქსისტის ჟურნალისთვის მოასწავებს მის იდეურ სიკვდილს და გაკოტრებასაც.

სომხის ბურჟუაზია, ჩვენი „მარქსისტების" აზრით, დამნაშავეა, რადგანაც მან უფრო ადრე და უფრო კარგად მოახერხა რევოლუცია ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში. დიაღ, იგი დამნაშავეა, რადგანაც ეკონომიურსა და კულტურულ ბრძოლაში დაამარცხა თავისი ეკონომიური მოწინააღმდეგენი და მსხვილი კაპიტალები შეჰქმნა. სომხები „პატივსაცემი და სანდო არ არის, ვინაიდან მისი ბურჟუაზია კულტურულ ეკონომიურ ევოლუციაში ისეთის ნელის ნაბიჯით არ მიდიოდა, რომ მისი დაწევა შესძლებოდა ქართველ და თათარ ბურჟუაზიას. ეს არის წვრილი ბურჟუაზიის და აგრარების მრწამსი. ეს არის „ივერიისებური" და „ცნობის ფურცლისებური" მსჯელობა, და ამ აზრს არ უნდა იმეორებდეს ის ორგანო, რომელიც თავის თავს მარქსისტს ეძახის. ყოველი მარქსისტი, ვინც უნდა იყოს იგი,—კერძო კაცი, ჟურნალისტი თუ მთელი პარტია, უნდა ეგებებოდეს ჩვენი ქვეყნის გაჩქარებულ ევოლუციას, კაპიტალიზმის ცენტრალიზაციასა და მსხვილი ბურჟუაზიის განვითარებას. განა ეკონომიურ ფაქტორების განვითარებას არ მოჰყვება პროლეტარიატის გამრავლება და მასში კლასიური შეგნების გაძლიერება. რა მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ბურჟუაზიის ეროვნებას, ან რა გულუბრყვილო მსჯელობაა „მოგზაურის" წერილის შემდეგ სიტყვებში, რომელსაც უფრო გაუგებრობას მივაწერთ: ,,სომეხი მუშა მომზადებული რომ ყოფილიყო,—ამბობს იგი,—და მას კარგად რომ ესმოდეს თავისი კლასიური ინტერესები, მაშინ არ მოხდებოდა ის, რაც ახლა მოხდა'', ე. ი. არ იქმნებოდა სომეხ-თათართა ჟლეტა. ეს, მკითხველო, ან ბავშვის მსჯელობა არის, ან განზრახი სიავე,—ორში ერთია. სომეხ მუშების მოუმზადებლობა და მისგან თავის კლასიურ ინტერესების გაუგებრობა ამ ისტორიულ დრამის მიზეზი რომ იყოს,—ამის თქმა იმას ნიშნავს, რომ, ან მუშა კლასს სომეხ ბურჟუაზიასთან ერთად აბრალებენ ხსენებულ საქმის დაწყებას, ან ამბობენ, რომ იგი ბურჟუაზიის ხელში ბრმა იარაღივით მოქმედებდა.

ერთი აზრიცა და მეორეც სინამდვილეს მოკლებულია, იმიტომ რომ ამ საქმის დაწყება სომხებს არ ეკუთვნის,—ეს ფაქტი უტყუარი ფაქტია. ან სომეხ მუშების განვითარებას განა შეეძლო შეეშალა ხელი ,,საუკუნოების განმავლობაში არსებულ სომეხ-თათართა სიძულვილისთვის'', და განა თათარ და სპარსელ მუშებზე კი არაფერი ეთქმის წერილის ავტორს, განა მომზადება კი და კლასიურ ინტერესების არ სჭირიათ შეგნება,—ამ შეუგნებელ და საცოდავ ბრბოს, რომელიც ერთის მხრივ ბნელ ძალთა,—თათარ პოლიციელთა,—იარაღად ხდება და მეორე მხრივ კი ასრულებს თავის იდეოლოგ-პროვოკატორების ბრძანებას? ან ეგება ,,მოგზაურის'' წერილის ავტორი ერთ დონეზე აყენებს თათრის ბრბოს და მის მათხოვარ პროლეტარიატს ერთის მხრივ და მეორე მხრივ კი სომხის მუშა ხალხს,—ვინ იცის? მას ხომ არა სცხვენია, როდესაც თავის წერილში თათრის ერს ,,სომხებზე უფრო მაღლა თუ არა, არც მათზე დაბლა აყენებს''. ეს საშინელი გაუგებრობაა და იგი მხოლოდ ნაციონალისტს შეჰფერის.

იგივე ბავშვი, ხსენებულ წერილის ავტორი, მეორე ადგილას სომხებს, როგორც ქრისტიან ერს, კულტურულის მხრივ მაღლა აყენებს. ეგება ამ შემთხვევაში ჩვენი გამოჩენილი „მარქსისტი" ასე მსჯელობს სარწმუნოებრივ სასოების გავლენით... სომხის ბურჟუაზია და სამღვდელოება გზას უბნევენო სომეხ მუშა ხალხს, ამბობს ავტორი და ამით ნათლად ამტკიცებს, რომ მას ძალიან ნაკლებად ესმის, თუ რა არის კლასთა ბრძოლა ისტორიაში. განა ცოდვად ჩაეთვლება სომხის ბურჟუაზიას, თუ მან თავის კლასიურ გაბატონებისთვის თავის სასარგებლოდ გამოიყენა ყველა საზოგადოებრივი ძალები? ეს ხომ ყველა ერის ბურჟუაზიის, ინტერნაციონალურ ბურჟუაზიის ჩვეულებაა. ჩვენ სომეხ ბურჟუაზიის ექსპლუატაციის წინააღმდეგ უფრო მედგრად ვიბრძვით ვიდრე თქვენ ქართველ ბურჟუაზიის საწინააღმდეგოდ!

გვითხარით ერთი-რა საჭიროა ამ შემთხვევაში ასეთების დასახელება, როდესაც ჩვენ გვინდა სომეხ-თათართა პოლიტიკურ ბრძოლის მიზეზები გამოვარკვიოთ? არა, პატივცემულო „მარქსისტებო", თქვენ აგეხადათ რიდე და უაზრო ფრაზებით და უსაფუძვლო გაკიცხვით იმავე აზრს ადგებით კავკასიაში მომხდარ უბედურების შესახებ, რომელსაც თქვენი ლიბერალური და „პროგრესიული" გაზეთები დაადგნენ. ჩვენ იმედი გვქონდა და გვიამებოდა, რომ ჩვენი მეზობელ ხალხის რადიკალ-დემოკრატიულ ელემენტებს მიუდგომლად და ფაქტიურად გაერკვიათ ჩვენი დროის საშინელი სიავე.

მაგრამ ნამდვილად ქართველ მუშათა კლასის იდეოლოგის ნაციონალისტური ფრაზეოლოგია, წვრილ ბურჟუაზიის აზროვნება და თავად-მემამულეთა მსჯელობა თანამოაზრეთა სამებას წარმოადგენენ, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ერთმანეთში. თათრები, ბიუროკრატია და სუვორინველიჩკოსებური პოლიტიკები ერთის მხრივ და „ივერია" და „მარქსისტი" „მოგზაური" მეორეს მხრივ ერთხმად ამტყუნებენ ამ ხოცვა-ჟლეტაში სომხებს. ტალახში ამოსვრილ დემოკრატიზმს ადგება „მარქსისტულ" პრინციპების დამცველი ორგანო.

იმ დროს, როდესაც ინტერნაციონალურ მუშათა პარტია, თვით ინტერნაციონალურ სოციალისტების ბიუროც წერილებით აცხადებდნენ პროტესტს ამიერ-კავკასიის ხოცვა-ჟლეტის საწინააღმდეგოდ და ჟლეტის ნამდვილ შემქმნელთაც ასახელებდნენ, ჩვენი პატივცემული „მოგზაური" ნაციონალისტურ ფრაზეოლოგიით გატაცებული, ელემენტარულ დემოკრატიზმის საზღვრებს სცდება. მარქსიზმი ხომ მასში სრულებით აღარ არის სახსენებელი!

რაც უნდა იყოს, ჩვენ მაინც იმდენად პესიმისტები არა ვართ, რომ ვიფიქროთ, ქართველი მუშა-ხალხი ამითი მოტყუვდეს და იმედი გვაქვს, რომ იგი არ მიჰყვება თავის უსაფუძვლოდ მოლაპარაკე იდეოლოგებს. ჩვენ გვჯერა პროლეტარების სოლიდარობა და მისი განმანთავისუფლებელი იდეა და დღეს „მოგზაურის" მკითხველი მუშები ერთ წუთით შეცდნენ კიდეც; მათი კლასიური ინსტინქტები და სოციოლოგიური ურთიერთობა სომეხ მუშებთან ერთად ადრე თუ გვიან დააყენებენ ქართველ მუშა ხალხს იმ რწმენაზე, რომ მისი წარმომადგენლები და მის ინტერესების იდეოლოგები დღესაც კიდევ ვერ ასცდენიან ქართველურს, სხვების მოძულე ნაციონალისტობას.

ქართველი მუშები ადრე თუ გვიან გაიგებენ, რომ ის დროშა, რომლის ქვეშ ისინი შეკრებილნი არიან აიძულებს მათ იბრძოლონ სხვა ეროვნების ბურჟუაზიასთან არა იმიტომ, რომ იგი უცხოა, არამედ იმიტომ, რომ იგი არის ბურჟუაზია, სულ ერთია ქართველებისაგან შესდგება იგი, სომხებისაგან თუ თათრებისაგან. ქართველი პროლეტარიატი ამას შეიგნებს.

ბ. იშხანიანი.

სახელმწიფო გამოცდა უნივერსიტეტებში.

რუსეთის ბიუროკრატიულმა რეჟიმმა სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა დარგი თავის საკანცელარიო მიწერ-მოწერაზე დაამყარა და ამით არსებულ წეს-წყობილებას სასიცოცხლო ელფერი დაუკარგა და თვითონვე თავის ხელით გაითხარა სამარე. მის გამჭრიახობას არც სწავლის საქმე გამოეპარა და ისიც თავის ქსელში გაება.

ულ სტუდენტის ძალითა და თავ-გამოდებით სავსე სიტყვებს.

მაროს ძლიერ შეუყვარდა ეს სტუდენტი, თუმცა რიგიანად არც კი უნახავს თავისი სატრფო. ათაში ერთხელ, ერთის წუთით თუ მოჰკრავდა ხოლმე თვალს და ისიც მაშინ, როდესაც ზედამხედველის თანხლებით, ტარასი რამე საქმისათვის ქვეით, კონტორაში, მიდიოდა ხოლმე. ამ დროს იგი მოდიოდა მაროს საკანის სარკმელთან და შესძახებდა ხოლმე.

— მარო, ერთი დამენახვე, მინდა გიმზირო!

მაროც დგებოდა სარკმელთან. სარკმლიდან სტუდენტის მარტო ორი მოელვარე შავი თვალები მოსჩანდა. ეს ბედნიერი წუთებიც იშვიათად იყო შეყვარებულთ, ცხოვრებაში, გარდა ამისა, დერეფანში ძალზე ბნელოდა და, ამ გვარად მაროს ერთხელაც არ გაუსინჯავს კარგად თავისი ტარასი, მაგრამ მაინც გატაცებით აუწერდა ხოლმე სონას. მის თვალებს, თმას, სახეს.

მერე, როგორ უყვარდა! მთელი საათობით ოცნებობდა იმაზე. მარო იმედსაც არ, ჰკარგავდა.

— სულ ხომ აქ არ ვიქნებით, როცა იქმნება გაგვანთავისუფლებენ და მაშინ... მაშინ.. ამბობდა ხოლმე მარო. მაგრამ მაროს ბედმა არ გაუღიმა, განთავისუფლების ნაცვლად, ტარასი სხვა ციხეში გადაიყვანეს და მაროს დღეები გაუმწარდა: ტარასი თვალიდან დაჰკარგა, არ იცოდა რომელ ციხეში გადაიყვანეს.

— ნეტა მალე მაინც გამანთავისუფლონ, მოვძებნი ჩემ ტარასს და ისევ ერთად ვიქნებითო— იტყოდა ხოლმე გულ დათუთქული მარო, მაგრამ დრო გადიოდა და ეს „განთავისუფლება" კი არსად იყო; საწყალი გოგონა, სანთელივითა დნებოდა!

სონა გატაცებით უგდებდა ყურს მაროს სიმღერას, რომელშიაც ისეთი სევდა, ისეთი გულსაკლავი ოხვრა და კვნესა გამოკრთოდა, რომ სონას კვლავ აღებძრა გულში მწვავე სიბრალულის გრძნობა.

ღმერთო, ეს რა ტანჯვის დღე გამითენდა —ჰფიქრობდა სონა. მაგრამ, აი, ტალღასავით აზვირთდა სიმღერა და ქალებმა შეიფთხრიალეს, თითქოს მათი გულები რაღაც უცნაურის სიმით გადაბმულაო.

ახლა ეს სიმღერა აღარ იყო სიმღერა მარტო სიყვარულისა. ის უმღერდა ბნელ ძალთა შემმუსვრელ გმირებს, ის უმღერდა ძველის ქვეყნის დამმხობელთ და ახალის აღმშენებელთ. თითქოს თვით თავ-განწირვა, თითქოს თავით შეუყეველი სიჭაბუკე და რწმენა ამ ხმებში ჩაქსოვილაო. მედგრად გრიალებდა იგი სიმღერა, და მის გამგონე ტუსაღებს თვალები ბედნიერებით ანთებოდა.

საკვირველი იყო, რომ ეს წმინდა და უმანკო ბედნიერება გამეფებულიყო ამ დახავსებულ კედლებში!

ნუ თუ ის ერთგვარი ფეხის ბაკუნი დარაჯისაა? ნუ თუ ეს ჩხარუნი გულგრილ ზედამხედველის გასაღებთა ჩხარუნია? ნუ თუ ახლა შემოვა იგი საკანში და შესწყვეტავს ამ დიდებულ სიმღერას, ამ საუკუნოებით შექმნილ სევდის გამომხატველ ჰიმნს, ნუ თუ ეს დიდებული ხმები, რომელითაც დაუდგრომელი ახალგაზდობა ჰხატავს თავის სულთა სწრაფვას, დაიფანტება ციხის გალავანში და გალავანს იქით ვეღარ გადააღწევს, ნუ თუ უკვალოდ დაიკარგებიან ეს ხმები?

— არასოდეს! თითქმის ხმა მაღლა წამოიძახა სონამ.

საკანის კარები გაიღო და ჰვარტლიანი ლამფა შემოიტანეს. სიმღერის ხმები თანდათან მისწყდა. სონა მხნედ წამოდგა.

— მარო! მგონი შენ გინდოდა რომ უკანასკნელ უთანხმოების შესახებ მეამბნა, არა?

— კი, ჩემო დაიო! მიამბე გეთაყვა.

— გვიამბე, გვიამბე! სთხოვეს სხვებმაც. სონამ საწოლზე მოიკეცა, ქალებიც გარს შემოუსხდნენ და...

სანამ ლაპარაკი დაიწყო.

გარედან მოისმოდა დარაჯის ფეხის ხმა... მეზობელ საკანებში ტუსაღები ყრუდ ხმაურობდნენ.

ვიღაცა მაღლა სართულში კედელს აკაკუნებდა და ეს ერთ გვარი ხმა დაბლა, ქალების საკანში მწარე კვნესასავით მოისმოდა.

ქალები გაჩუმდნენ ერთის წუთით და... ყური წაუგდეს.

ი.—ცანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] უკუღმართობას რომ არ [illegible] კერძოდ უნივერსიტეტებს მივაქ[illegible] ყურადღება, მეტად საყურადღებო, დამახასიათებელ მოვლენას შევამჩნევთ.

ყველასთვის ცხადია, რომ უნივერსიტეტის დასრულებისას, სტუდენტები, ეგრედ წოდებულ, სახელმწიფო გამოცდას ჩააბარებენ ხოლმე. ეს გამოცდა, იმ წესით, როგორც დღესა ხდება, 1884 წ. საუნივერსიტეტო წესდებით შემოიღეს. ამ წესდებით მთავრობამ სრულიად შეზღუდა და გააბათილა უნივერსიტეტის ავტონომია, აღკვეა სწავლების თავისუფლება და განსაზღვრულ ყალიბში ჩასვა პროფესორებიც. ამ სახით როგორც სტუდენტობას, ისე პროფესურას მთავრობამ უნდობლობა გამოუცხადა და განსაკუთრებული კონტროლი მიუჩინა. ბიუროკრატიის ანგარიშითა და განზრახვით, ,,გამომცდელ კომისიაში‘‘ სახელმწიფო გამოცდის დროს, სანდო, კეთილსაიმედო და უნივერსიტეტის გარედ მდგომი მეცნიერნი და სწავლულნი უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ ნამდვილი მეცნიერნი მაინც არ მიეტანენ ამ კომისიებს, არავინ მოისურვა მეცნიერების ტაძარში პოლიციური მოვალეობა აესრულებინა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ გამომცდელ კომისიებში იგივე პროფესორები მოჰყვნენ, ვინც მთელის წლის განმავლობაში ლექციებს უკითხავდნენ სტუდენტებს... კომისიების თავმჯდომარეობა ხომ გამოსარჩენ, შემოსავლიან ლუკმად გარდაიქცა... ეს ზედმეტი ულუფა, რა თქმა უნდა ბიუროკრატიის მიერ მიჩნეულ და განებივრებულ პროფესორებს ერგოთ... რა ნაყოფი, რა სარგებლობა მოჰქონდა ამისთანა ეგზამენებს?.. არაფერი, ვნებისა და სტუდენტების მხრივ ზედმეტ გამოსაცდელ გარდასახადების გარდა. სახელმწიფო გამოცდა არც არსებითად და არც გარეგნულად ჩვეულებრივ გამოცდისაგან არ განირჩეოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ამ შემთხვევაში გამოცდა საუნივერსიტეტო ყველა საგნებში ხდებოდა... თავმჯდომარის უფლება და თვითნებობა არაფრით არ იყო განსაზღვრული. მის გულკეთილობაზე, ან გულღვარძლიანობაზე იყო დამოკიდებული გამოცდის ჩამბარებელი ბედი... დღეს, როდესაც საუნივერსიტეტო საკითხიც საგრძნობელი გახდა, როდესაც მის ავტონომიასა და გაწესრიგებაზე ჰღაღადებს რუსეთის მთელი მოწინავე პრესსა და საზოგადოება, საჭიროა საუნივერსიტეტო ცხოვრების ამ უვარგის მხარესაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, მასაც მოენახოს საკურნებელი მალამო. უნივერსიტეტი ხელმისაწდომი უნდა გახდეს ყველასთვის, უნდა მოისპოს მასში პოლიციური წყობილება, უნდა გაუქმდეს ყოველგვარი საგნებში გამოცდა, ე. ი. სახელმწიფო გამოცდაც. დეე, უნივერსიტეტმა ყველას მისცეს ის, რის მიცემაც შეუძლიან! დეე ყველამ გამოიტანოს ის, რის გამოტანაც შეუძლიან (ს. ო.).

ნ...

რუსეთი

21 ოქტომბერს მოსკოვში მოხდება **კავშირთა კავშირის საზოგადო კრება**, სადაც, სხვათა შორის, განიხილავენ: კავშირთა აზრს სახელმწიფო სათათბიროს შესახებ; კავშირთა მიერ გადაწყვეტილების განხორციელებას; კავშირთა კავშირის ორგანიზაციას და საერთო პოლიტიკურ გაფიცვას (რ. ვ.).

✦ მინისტრის ბოგოლეპოვის დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ დოცენტმა სვეშნიკოვმა უარი განაცხადა პოლიციის თანადასწრებით ეგზამენებზე შესვლაზე, რის გამოც სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა. ეხლა სვეშნიკოვმა ისევ ითხოვა ლექციების კითხვის ნებართვა, მაგრამ საერო განათლების მინისტრმა **უარი უთხრა** და შეუთვალა, შეგიძლიანთ რამდენიმე კერძო ლექცია წაიკითხოთ საერო წარმომადგენლობაზე, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ლექციის პროგრამა სამინისტრომ უნდა განიხილოს და დაამტკიცოსო (რ. ვ.).

✦ 19 სექტემბერს გაიხსნა პეტერბურგის უნივერსიტეტის იაფფასიანი სასადილო, რომელიც მინისტრ პლევეს **დროს იყო დაკეტილი** (რ.)

✦ სინოდმა გადასწყვიტა, **რევიზია მოუხდინოს** მთელ რუსეთის მონასტრებსა და ბერების საზოგადოებებს (რ. ვ.).

✦ ამ დღეებში პეტერბურგში **პოლიციამ აღმოაჩინა სოც.-დემოკრატების რამდენიმე სტამბა.** სოციალ-დემოკრატები გაუცია ამავე პარტიის ცენტრალურ ორგანიზაციის ერთ წევრს, რომელიც ჯაშუში აღმოჩენილა (რ. ვ.).

✦ რამდენიმე დღის წინად ხერსონში სამოსამართლო პოლიციამ რამდენიმე **პოლიტიკური საქმე** გაარჩია. ყველას „არსებულ სახელმწიფო წესწყობილების დანგრევის ცდა“ ჰბრალდებოდა. საქმის გარჩევას ხალხი არ დასწრებია. ბრალდებულმა გონიაროვმა თავმჯდომარეს კითხვებზე პასუხი არ გასცა და გარედ გაყვანა მოითხოვა, რადგან იმის აზრით „ეს პროცედურა სულ მეტი იყო“. 18 წლის გაუზნერმაც ლაპარაკზე და თავის მართლებაზე უარი განაცხადა. მას მიემხრო მესამე — ორლიიანსკი. ერთი მათგანი სასამართლომ გაამართლა, მეორეს ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა, მესამეს—9 თვით საპყრობილეში დამწყვდევა (რ.).

✦ სარატოვის სასულიერო მთავრობამ **სამსახურიდან დაითხოვა ორი მთავარი**, რადგან ისინი რადიკალურ გაზეთებში წერილებს სწერდნენ. მთავრებს სამსახურში დაბრუნების ნება მიეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოდვები მოინანიეს და ორი კვირა მონასტერში გაატარეს (რ. ვ.).

✦ მოსკოვის ქალაქის საბჭომ დაადგინა, ეთხოვოს მთავრობას, რომ მოსკოვიდან კაზაკთა მე-34 პოლკი სხვაგან გადაიყვანონ. ამას შესაფერი მოხსენება წაიკითხა ხმოსანმა რადიკალმა შჩეპკინმა, რომელმაც მშვენივრად დაამტკიცა და დაახასიათა კაზაკთა „საქმენი საგმირონი“ (რ. ვ.).

✦ **მოსკოვის უნივერსიტეტში**, „ნოვოე ვრემიის“ სიტყვით, **ორი პარტია დაარსდა**: სოციალ-რევოლუციონერებისა და აკადემიკოსებისა. ორივე პარტიას გაცხარებული ბრძოლა აქვთ ერთმანეთთან. რევოლუციონერები გაფიცვას თხოულობენ, აკადემიკოსები კი—სწავლის დაწყებას. 20 სექტემბერს სოციალ-რევოლუციონერებმა უნივერსიტეტში კრება გამართეს შეერთებულ საბჭოს ამოსარჩევად. კრების ჩასაშლელად აუარებელი აკადემიკოსი მივიდა. საქმე გამწვავდა. ცოტა ხნის შემდეგ რექტორის თანაშემწე პროფესორი განუილოვი დარბაზში შევიდა და სტუდენტებს პროტესტი გამოუცხადა იმის გამო, რომ იმათ 12 საათზე დანიშნეს კრება და ისიც იმ აუდიტორიაში, სადაც კრება უნდა მომხდარიყო. მანუილოვი აღელვებული იყო იმის გამო, რომ სტუდენტებს 2 საათზედაც შეეძლოთ კრების დანიშვნა, ე. ი. როცა ლექციები გათავდებოდა. „თქვენ ალბად ის გინდათ—უთხრა მანუილოვმა რევოლუციონერებს,—რომ მე პოლიცია მოვიწვიო, მაგრამ სცდებით: ჩვენ მაგ საქმეს არ ჩავიდენთო“. საქმე ისე გამწვავდა, რომ მეორე დღეს რექტორი იძულებული გახდა უნივერსიტეტი დაეკეტა (ნ. ვ.).

✦ ამის წინად „ვარშ. დნ.“-ში დაბეჭდილი იყო, ვითომ პოლიციამ საზღვარზე დაიჭირა **სტუდენტი ფელდმანი**, რომელიც დიდ მონაწილეობას იღებდა შავი ზღვის ფლოტის მატროსების აჯანყებაში. ეს ცნობა ტყუილი ყოფილა. ფელდმანი ამჟამად შვეიცარიაში იმყოფება. ფელდმანს საცოლე ჰყავდა, რომელიც შვეიცარიაში სწავლობდა. როცა ქალმა გაიგო, მისი საქმრო დაიჭირეს და, უეჭველია, ჩამოარჩობენ, მესამე სართულიდან ქუჩაში გადავარდა და გარდაიცვალა (ნ.).

✦ 18 სექტემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა, „ნაშა ჟიზნი“-ის რედაქტორის პროფესორის **ლ. ხოდსკის დაბრუნება მოვითხოვოთო.** როგორც ვიცით, საერო განათლების მინისტრმა პროფესორი ხოდსკი სამსახურიდან დაითხოვა და კათედრა წაართვა (რ.).

✦ საცენზურო წესდებით, ის წერილები, ბროშურები და წიგნები, რომელნიც ცენზორის-მიერ ნებადართულ არ იყვნენ დასაბეჭდათ, საცენზურო კომიტეტის არქივში უნდა დარჩნენ. თუმცა დაჭერილ წერილების ავტორებს ნება ჰქონდათ საცენზურო კომიტეტის დადგენილება განესაჩივრებინათ, მაგრამ ამ უფლებით თითქმის არავინ სარგებლობდა, რადგან იცოდნენ, რომ საჩივრიდან არაფერი გამოვიდოდა. ამრიგად რამდენიმე წლის განმავლობაში საცენზურო არქივში ათასობით მოგროვდა დასაბეჭდად აკრძალული ბროშურები და წიგნები. **შესდგა აკრძალულ წიგნების მთელი სასაფლაო.** ამ ნაწერებში ბევრი ხელთნაწერია საერო წარმომადგენლობისა, კონსტიტუციისა და სოციალურ საკითხების შესახებ. ამჟამად საცენზურო კომიტეტებს აუარებელი თხოვნა მისდის იმის შესახებ, რომ წინად დაჭერილი წერილები ხელმეორედ გადაისინჯოს და დასაბეჭდათ ნებადართულ იქმნეს (რ. ვ.).

✦ სამხედრო სამინისტრომ სასტიკად **აუკრძალა** შტაბებში მოსამსახურეთ გაზეთებში დასაბეჭდათ რაიმე ცნობების მიცემა (რ.).

✦ როგორც ვიცით, ოდესის გენერალ-გუბერნატორმა იქაური ჟურნალისტი გერცო-ვინოგრადსკი ადმინისტრატიულის წესით **ოლონეცის გუბერნიაში გადაასახლა.** როგორც აღმოჩნდა, გადასახლების მიზეზი ის ყოფილა, რომ ჟურნალისტს საჩივარი აღუძრავს ცენზორის წინააღმდეგ, რომელიც უკანონოდ იქცეოდა და იქაურ გაზეთებს არჩობდა (რ. ვ.).

✦ ეკატერინოსლავის სამხედრო სასამართლომ **ჩამორჩობა** გადაუწყვიტა, ლუპანდინს, რომელსაც იარაღით ხელში გაძალიანება ბრალდებოდა (რ. ვ.).

✦ მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორმა ტრუბეცკოიმ დეპეშით სთხოვა საერო განათლების მინისტრს, რომ უნივერსიტეტში მიიღონ 62 ებრაელი, რომელთაც, **როგორც ებრაელებს, აკრძალული აქვთ უნივერსიტეტში შესვლა** (რ. ვ.).

✦ მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორს შეუთვალა: იმ სტუდენტების პასპორტები, რომელნიც მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღების გამო დათხოვნილ იქმნებიან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ პოლიციაში უნდა გაგზავნოსო. უნივერსიტეტის საბჭომ ეს მოწერილობა მოისმინა და დაადგინა: უარვყოთ მზრუნველის ცირკულიარი, რადგან **უნივერსიტეტი პოლიციას მოსამსახურედ ვერ დაუდგებაო** (რ. ვ.).

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების საგანგებო კრება.

კვირას. შუადღის 12 საათზე, ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა ქართულ კერძო გიმნაზიის სადგომში, თავად-აზნაურთა საზოგადოების საგანგებო კრება მოხდა. კრებას თავმჯდომარეობდა კნ. მარ. ვახ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, რომელმაც კრების დაწყებისას აუწყა საზოგადოებას, რომ ივნისში მომხდარ მორიგ კრების შემდეგ, გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო და გამგე კომიტეტი შეთანხმდნენ და დაადგინეს, რომ გიმნაზიის გამგე და მასწავლებლები პედაგოგიურ საბჭომ და გამგე კომიტეტმა ერთად აირჩიონ ხოლმე, ამგვარი დადგენილება უკვე არისო—განაცხადა კნ. ორბელიანისამ—და ეს დადგენილება საზოგადო კრებამ უნდა დააკანონოსო.

გრ. რცხილაძე შეეკითხა თავმჯდომარეს, როგორ მოხდა ეს, რომ გამგე კომიტეტმა ივნისის მორიგ კრებაზე, თავის თანამდებობაზე ხელი აიღო, სამსახურიდან გადადგა, დღეს კი ჩვენ მათი რაღაცა დადგენილება უნდა მოვისმინოთო. რა უფლებით ხელმძღვანელობდა კომიტეტი, როდესაც მოისურვა სამსახურს ისევ დაბრუნებოდაო. ამაზე თავმჯდომარემ უპასუხა, რომ წარსულ კრებაზე, საზოგადო კრებამ საქმე ვერ დააბოლოვა, ძველის კომიტეტის მაგივრად ახალ კომიტეტის წევრთა საკმაო რიცხვი ვერ აირჩია, სკოლა უპატრონოდ დარჩა და ამ გარემოებამ ძველი კომიტეტი აიძულა სკოლის საქმეს ისევ სათავეში დასდგომოდაო. ამას ნ. ცხვედაძემ დაუმატა, როდესაც ჩვენ სამსახურზე უარი განვაცხადეთ, ჩვენ გვეგონა, რომ მოადგილეებს მოგვინახავდნენ, ეს კრებამ ვერ მოახერხა და ჩვენი წმიდა მოვალეობა იყო სამსახურს ისევ დავბრუნებოდითო. ექ. ვირსალაძე შენიშნავს, რომ კომიტეტს ახალი დადგენილებით აღარავითარი უფლება აღარა აქვს და კომიტეტის წევრობას არავინ იკისრებსო. თავმჯდომარე უპასუხებს, რომ კომიტეტი თავის უფლებებს არ ჰკარგავსო.

ხ. ღლონტი უხსნის საზოგადოებას, რა ნაირად და რა გზით მოხდა პედაგოგიურ საბჭოსა და კომიტეტს შუა შეთანხმება: ჩვენ ამით წარსულ კრების დადგენილებას არ შევეხებივართ და არც იგი შეგვიცვლიაო. ჩვენ, მასწავლებლები, წინადაც ამ აზრისა ვიყავით და ახლაც იმ აზრისა ვართ, რომ პედაგოგიურ საბჭოს გარდაწყვეტილებებში კომიტეტის წევრებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონო. მ. ჩიტაძე დასძენს, რომ კრებამ პედაგოგიურ საბჭოს მიანიჭა სრული უფლება, საბჭომ ამითი ისარგებლა და გარდასწყვიტა სკოლის გამგისა და მასწავლებლის არჩევნების საკითხის გარდასაწყვეტად მოიწვიოს კომიტეტის წევრნიც. ბ. ჩიტაძის აზრით გარემოება არაფრით არ შეცვლილა. გრ. რცხილაძე კი იმ აზრისაა, რომ ბევრი რამ შეიცვალა, კომიტეტს აღარავითარი კონტროლის უფლება აღარა აქვს, საზოგადოებას შეძლება არა აქვს, სკოლის საქმეებში თვითონ მიიღოს მონაწილეობა და საზოგადოება უკონტროლოდ რჩება, დაბოლოს ბ. რცხილაძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ კომიტეტს ნება არ ჰქონდა, სამსახურს დაბრუნებოდაო.

ეგ. გედევანიშვილი ამბობს, რომ უნდა კარგად გამოირკვეს, ვის რა უფლებები აქვს. ი. ღულაძე იმ აზრისაა, რომ უპირველეს ყოვლისა, დღევანდელმა კრებამ უნდა გარდასწყვიტოს, კანონიერია თუ არა წარსული კრების დადგენილება და შემდეგ განაგრძონ საკითხის განხილვაო.

თავჯდომარემ მოკლედ განუმარტა საზოგადოებას, წარსულ კრების დადგენილების შედეგი და სთქვა: მას შემდეგ რაც გამგე კომიტეტი გაჰკიცხეს, როგორც საზოგადოებამ, ისე პრესსამ, ის იძულებული იყო თავის თანამდებობისთვის თავი დაენებებინა, მაგრამ ახალი კომიტეტის არჩევნები არ მოხდა და ძველი თვის ადგილას დარჩაო. კომიტეტის მხრივ ეს დიდი თავგანწირულება არისო. პ. გოთუა პედაგოგიურ საბჭოსა და კომიტეტის შეთანხმებას საკმარისად არა სთვლის, უერთდება ი. ღულაძის აზრს და თხოულობს, რომ კრებამ გადასწყვიტოს საკითხი: გაუქმოს თუ არა წინანდელი კრების დადგენილებ. ი. ზურაბიშვილი ამტკიცებს, რომ კომიტეტს უფლება ჰქონდა, სამსახურს დაბრუნებოდა და ბოლოს ურჩევს კრებას, დასტოვოს სკოლა იმავე მდგომარეობაში, როგორც დღეს არის, აირჩიოს კომისია და სკოლის რეორგანიზაციის პროექტის შემუშავება ამ კომისიას მიანდოს.

თავჯდომარე მკითხება საზოგადოებას, სცნობს თუ არა კრება სასარგებლოდ ამისთანა შეთანხმებას. ეს საკითხი საზოგადოებაში გამწვავებულ კამათს იწვევს. ზოგი იმ აზრისაა, რომ ჯერ კრებამ უნდა უარ ჰყოს წარსული კრების დადგენილება, ზოგი ამტკიცებს, რომ ეს დადგენილება კანონიერია, მაგრამ გარდაუწყვეტელი დარჩა ბევრი რამ სკოლის რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც დღეს კრებას უნდა განიხილოს და შეიმუშაოს. რომ დღეს კრებამ უნდა აირჩიოს კომიტეტი, პედაგოგიურ საბჭოს წევრნი და კომისია და სხვა. პ. გოთუა თხოულობს, რომ კრებამ კარგად გაითვალისწინოს, როგორ უნდა მოიქცეს დღეს და რა საქმეები უნდა განიხილოს, სცნობს თუ არა კრება კანონიერად გამგე კომიტეტისა და პედაგოგიურ საბჭოს შეთანხმებას, სცნობს თუ არა კანონიერად წინანდელ თავის დადგენილებას და განიხილოს თუ არა დღეს სკოლის რეორგანიზაციის პროექტი თუ შესამუშავებლად კომისიას გადასცეს. შ. ჩიტაძე აცხადებს:, თუ დღესვე არ შეიმუშავეთ სკოლის რეორგანიზაციის საკითხი და სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სრული ავტონომია არ მიეცით, ჩვენ, მასწავლებლები, გაუწყებთ, რომ ამ გვარ პირობებში სამსახურში დარჩენა არ შეგვიძლიან და სკოლას თავს ვანებებთო. ნ. ელიავა ამბობს, წარსული კრების დადგენილებას უკანონოდ ვსთვლით, რადგან მასწავლებლებმა მაინც განაცხადეს, თუ სრულ ავტონომიას არ მოგვანიჭებთ, სამსახურს თავს ვანებებთო. საზოგადოებას ეს მუქარა მუდამ თვალსინ ჰქონდა და სხვაფრივ მოქცევა მას არ შეეძლო, დღესაც იმავე მუქარას გვითვლიანო. ორატორს ვერაფრით აუხსნია მასწავლებლების ამგვარი საქციელი და ამბობს, რომ თავისუფალი სკოლები არიან საზღვარ-გარედ, მაგ., შვეიცარიაში და ჩვენშიაც დღეს აქა-იქ თავისუფალი სკოლები არსდება, მაგრამ შვეიცარიაშიაც და აქაც ხალხი ირჩევს სკოლის საბჭოს და ავალებს მათ თავიანთ სკოლის საქმეს და მასწავლებელთა კონტროლს. იმ პირობაში კი, რა პირობებსაც დღეს ჩვენი მასწავლებლები გვიკარნახებენ, ადვილად შესაძლებელია, რომ სინდისიერ მასწავლებლების მაგივრად, ხულიგანები გამეფდნენო. შ. ჩიტაძე ამაზე უპასუხებს, რომ ხულიგანებს ის პირობები კი არ შექმნის, რომელიც პედაგოგიურმა საბჭომ წამოაყენა, არამედ 25 წლის განმავლობაში სკოლაში გამეფებულმა რეჟიმმა კი მასწავლებლები თითქმის ხულიგანებად გახადაო.

დაუსრულებელ კამათის შემდეგ, კრებამ, როგორც იყო, შემდეგი საკითხი დააყენა: სცნობს, თუ არა საჭიროდ საზოგადო კრება ხელახლა მსჯელობა იქონიოს და გარდასწყვიტოს ქართული კერძო გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხი და ამით გააუქმოს ივნისის კრების დადგენილება. ამ საკითხს კენჭი უყარეს და კრებამ 34 ხმით 14 წინააღმდეგ, საჭიროდ დაინახა წარსულ კრების დადგენილების გაუქმება. ამის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა კრებას ამ საგანს თვითონ განიხილავს, თუ შესამუშავებლად კომისიას გარდასცემს. კრებამ გარდასწყვიტა, ეს საკითხი კომისიას გარდასცეს.

კრების დახურვის შემდეგ, ბ-ნმა ჩიტაძემ იკითხა: ჩვენ, მასწავლებლებს რაღას გვიპირობებთო? კრებამ აუხსნა, რომ რადგანაც სკოლის რეორგანიზაციის საკითხის შემუშავება კერძო კომისიას მიენდო, ვიდრე ეს კომისია თავის მოხსენებას არ წარმოადგენს და კრება არ მიიღებს, მასწავლებლები თავის ადგილას უნდა დარჩნენო.

კრება შემდეგისათვის გადაიდო.

გუშინ, 26 სექტემბერს, კრება დაიწყო შუადღის 12 საათზე. თავჯდომარე აცხადებს, რომ რადგანაც ყველაფერი ისევ ძველებურად რჩება, კომისიისა და გამგე კომიტეტის წევრები ავირჩიოთო. ბ-ნმა შ. ჩიტაძემ განაცხადა: რადგანაც სკოლაში ძველი რეჟიმი რჩება, სამსახურს თავს ვანებებთ. ექ. გაბაშვილი, გურამიშვილი, ი. ღულაძე და ნ. ელიავა იმ აზრისანი არიან, რომ ვიდრე კომისია სკოლის რეორგანიზაციის შესახებ საკითხს არ შეიმუშავებს, მასწავლებელნი თავის ადგილზე უნდა დარჩნენო. კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: გამგე კომიტეტი ძველსა და ახალ მასწავლებელთაგან ირჩევს რამდენიმე კაცს—საპედაგოგიო საბჭო და გამგე კომიტეტი ირჩევენ სკოლის გამგესა და მასწავლებელთაც. ბოლოს კრება კომიტეტის წევრთა არჩევანს შეუდგა. მაგრამ გვიან-ღა იყო და კრება დღეისთვის, ნაშუადღევის 2 საათისთვის გადაიდო.

თეატრი და ხელოვნება

ოპერა. შაბათის წარმოდგენა ერთი საუკეთესო წარმოდგენათაგანი, რაც რომ სეზონი დაიწყო. დადგმულ მეიერბერის საუკეთესო ოპერა „ჰუგენოტები“ და როლების ცოტად თუ ბევრად სათანადო აღმსრულებელნი ხელს უწყობდნენ, რომ მრავლად მოსული საზოგადოება კმაყოფილი წასულიყო თეატრიდამ.

რასა თქმა უნდა, უმთავრესი ყურადღება ყველასი ახალ მომღერალ გამბასკენ იყო მოქცეული, რომელიც რაულ ნანგის პარტიას მღეროდა. ბ-ნი გამბა ნამდვილი ტენორია, ყველა ფარდებში თანასწორად ისმის მისი ხმა. მშვენიერი, გამომეტყველი დიქცია აქვს და გამოცდილის არტისტის მიხვრა მოხვრა. ეს მესამე სეზონია, ტფილისის საზოგადოებას არ უნახავს ისეთი ტენორი, რომელსაც ან დაბალ ფარდებში არ უწყდებოდეს ხმა, ან საშუალოში, ან კიდევ მაღალში. ამის შემდეგ, რასა თქმა უნდა, გამბა ყველას მოეწონა, განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედების დუეტში და პირველ მოქმედების რომანსში. ბ-ნ გამბას ხმა როდია ფართო და დიდის ძლიერებისა, მაგრამ თავისთავად ისეთის მახვილის იერისაა და მკვახე, რომ ყველა ანსამბლში ისმის, მაგალითად მეორე მოქმედების ანსამბლში და მესამე მოქმედების სექსტეტში. ნაკლად ის უნდა აღვნიშნოთ, რომ, ცოტა არ იყოს, მომღერალის ხმის სიტკბოება აკლია და მეცცო-ვოჩე (ხმა-მიბნედილი სიმღერა) მაგრე როგორ როდი ეხერხება. სამაგიეროდ ხმა შეკიდებული სიმღერა მისი სტიქიონია და მაღალ ფარდებში ისე თავისუფლად დანავარდობს, რომ ვერც ნოტა სი და ვერც ნოტა დო ვერ აბრკოლებს. მაგალითად მეოთხე მოქმედების დასასრულში, როდესაც მსახიობა ლილ დ-დექანტული უნდა იყოს, ბ-ნმა გამბამ ისეთის რიხით აწყო ნოტა, რომ გეგონებოდათ ეს არის ახლა გამოდის სცენაზედაო.

ბ-ნი დრაგული მშვენიერი მარსელია: სიმღერითაც და გარეგნობითაც; ეს არის მხოლოდ, რომ მომღერალი, მგონია, ავად უნდა იყოს, რადგანაც აქა-იქ მის ხმაში შერეული ამოძახული გამოისმოდა.

ქ-ნი დუბროვსკაია მეტად მოსაწონი ვალენტინას როლში. დიდის გრძნობით იყო გაჟღენთილი მისი სიმღერა, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში.

ქ-ნი კარრი სიმღერითაც და გარეგნობითაც [illegible] და შეუფერებელი პაჟის ურბანის როლისათვის, განსაკუთრებით უტეურად ხმა საკრინმანჭერო ჰანგში.

ქ-ნი ბრიკულაის ლირიკული სოპრანოსა და კოლორატურასი (კრისმანჭური) არა სცხადა-რა, ამის გამო სიმღერაში მისი ხმა სასიამოვნოდ გაისმოდა, სამაგიეროდ დედოფლის სტოკატოები და გრეხილოვანი ჰანგები უფერულები გამოვიდა.

ბ-ნი ხასტაკოვი [illegible] შესაფერი იყო სენ-ბრის როლისათვის, მხოლოდ სიმღერით კი,—თორემ გარეგნობით ვერ დახატა სარწმუნოებრივი ფანატიკოსი, ავსული ადამიანი.

მაგრამ ყველაზედ მაღლა, თითქმის მიუწვდომელი იყო ბ-ნი შტეინბერგი. ისეთის მგზნებარებით და ცეცხლ-შეკიდებით გაატარა მან ხელმძღვანელობით მახვილთა დალოცვის დიადმა სცენამ, რომ გეგონებოდათ მუსიკალური ჰანგები კი არ ჩამესმის ყურში, არამედ მთება ირყევიან აღტყინებულ ადამიანთა გრძნობათა მეტყველებისაგანო.

ი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

26 სექტემბერი.

ტოკიო, 25 სექტ. კობეში ინგლისის ესკადრა მოვიდა. ხალხი აღტაცებით მიეგება. ქუჩები იაპონიისა და ინგლისის ბაირაღებითაა მორთული.

პეტერბურგი, 26 სექ. გუშინ ფინანსთა მინისტრმა კავკასიის ნამესტნიკს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „კრებაზე ნავთის მრეწველებმა გამოაცხადეს, რომ ნავთის მრეწველობის აღსადგენად საჭიროა ნავთის ქარხნებში ჯარის ჩაყენება, პოლიციის გაძლიერება 4 ახალ ბოქაულით, 16 საპოლიციო უბნის ზედამხედველითა და შესაფერის პოლიციელებით. ახალ პოლიციას ნავთის მრეწველები 6 თვეს თავიანთ ხარჯზე შეინახავენ. გარდა ამისა, ისინი თხოულობენ არა-რუს პოლიციელებისა და კაზაკების განდევნას. ბაქოს ტეხნიკურ საზოგადოების წარმომადგენლებმა ხატისოვმა და იაპლევმაც ასეთივე აზრი გამოსთქვეს. გთხოვთ დაუყოვნებლივ შეასრულოთ ნავთის მრეწველთა თხოვნაო.

მოსკოვი, 25 სექტემბერი. შუადღეზე ფილიპოვის სახლის სახურავზე, ტვერის ჩიხეზე ასულმა მეპურეებმა აგურის ნატეხები დაუშინეს მიმავალ ჯარებს და ჟანდარმებსაც. ამის გამო კაზაკებს ებრძანათ ზევით ესროლათ, ამ სროლაში არავინ არ დაშავებულა. წუხელის ტვერის მიტინგზე შეგროვილ ხალხის გაფანტვის დროს რამდენიმე კაცი დაშავდა. საავადმყოფოში მიიყვანეს რამდენიმე დაშავებული სტუდენტი.

მოსკოვი. არეულობა არ შეწყვეტილა. გაზეთები არ გამოდის. მრავალი დემონსტრანტი, პოლიციელი და კაზაკი დაშავებულია.

ვაშინგტონი. რუზველტი უარყოფს ცნობას, ვითომც ფილიპინების ხელუხლებლობა უზრუნველყოფილი იყოს. პრეზიდენტი აცხადებს არავითარი საამისო გარანტია არ მიმიცია და მხოლოდ იაპონიის წარმომადგენელთა სიტყვა მოვისმინე, რომ იაპონიას ფილიპინების ხელში ჩაგდება განზრახული არა აქვთ.

ტოკიო—ირდანდის გემი, ნიკოლაევსკისაკენ მიმავალი და შვეციის, მიმავალი ვლადივოსტოკისაკენ, იაპონელებმა ცუსიმის სრუტეში დააკავეს. კონტრ ადმირალი შიმამურის ესკადრა იოკოსუკაში მოვიდა.

გუნჟულინი. დროებით შერიგების შემდეგ ჯარები მშვიდობიანად ატარებენ დროს. გოძიადანში ხანდახან მარულას მართავენ, [illegible] არავის უშვებენ ისე რომ იაპონელ ჯარებისაკენ გავლა შეუძლებელია.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 . 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 2 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (12 ს. 28 წ)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა'. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი რსტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 სექტემბერი.

სამ-თვიან თამასუქების კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94, 55—60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62 1/2—60
ბირჟის დისკონტი	5 1/4—7%
4% სახელმწიფო რენტა	89
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2 შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	84 1/2
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	460
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	352
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	286 1/4
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4 1/2% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	201 1/2
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	10275. (?)

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგ ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში“ და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძესთან.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 26 Сентября 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5.